ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 4 (20345) — ხუთშაბათი, 5 იანვარი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

უპირველესი ამოცანა

რესპუბლიკის ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებმაც წლეულს და, რაღა თქმა უნდა, მომავალშიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები უნდა გადაწყვიტონ, წინა პლანზეა სოფლის მეურნეობა. ამიტომაც ამ მიმართულებით ხათაბადო კონკრეტული ღონისძიებების უთუო განხორციელება უპირველესი ამოცანაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნა პარტიის სოციალური პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ნაწილია და ამიტომ ამასთან დაკავშირებული პრობლემები შეუნელებელი უურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ამას მოითხოვს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები, პარტიისა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებები.

საქმე ის არის, რომ ძირითადი სასურსათო პროდუქტების მოხმარების დონის მიხედვით ჩვენში ჩამორჩენაა არა მარტო ფიზიოლოგიურ ნორმებთან, არამედ საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებითაც. ამასთან, უკანასკნელი წლების მანძილზე იზრდება ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ხორცის, რძისა და მათი პროდუქტების, კვერცხის წარმოების მიხედვით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე აღინიშნა, რომ მოწოდება მეურნეობის ინტენსიურ გაძღოლაზე გადასვლის შესახებ ლიტონ სიტყვად რჩება. სარწყავ მიწებზე და ინტენსიური ტექნოლოგიით დამუშავებულ ნაკვეთებში მოსავლიანობა ხშირად ისეთივეა, ზოგჯერ კი უფრო ნაკლებიც, როგორც ურწყავ მიწებსა და მინდვრებში, სადაც ინტენსიური ტექნოლოგია არ გამოიყენება.

შარშან, როდესაც თავთავიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა რესპუბლიკაში ჰექტარზე 28,5 ცენტნერს აღემატებოდა, ზოგიერთი რაიონის მეურნეობებში ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 6,2 ცენტნერი, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც დათესეს.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობა. საქონლის საერთო სულადობაში 99 პროცენტზე მეტი ჯიშიანია და საშუალო წველადობა მაინც ვერ აღწევს იმდენს, რამდენიც შესაძლებელია მცირემოწიან საქართველოს პირობებში. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა არ ედრება უკრაინას, ან ქვეყნის ზოგიერთ სხვა რეგიონს, სადაც საკვების პრობლემა არ დგას ასე მწვავედ, მაგრამ რატომ არ უნდა მივაღწიოთ შესაძლებლობის მაქსიმუმს? გამოდის, რომ ჯიშიან პირუტყვს მოგების ნაცვლად ზარალი მოაქვს. უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანი წველადობა შემცირდა 17 რაიონში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ამ მხრივ შარშან განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ ქ. ჭიათურის ზონაში, მახარაძის, ასპინძის, თიანეთის და მარნეულის რაიონებში. ძირითადი მიზეზია მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა, სუსტი დისციპლინა, წარმოების ტექნოლოგიის დარღვევები, უკონტროლობა საკვების ხარჯვაში, პროდუქციის წარმოებასა და აღრიცხვაში. ჯერ კიდევ გრძელდება პრაქტიკა, როდესაც ჩამორჩენილი მეურნეობების გეგმების შესრულებას დაავალებენ ხოლმე იმათ, ვინც კარგად მუშაობს. მაგრამ ეს უვარგისი პრაქტიკაა, იგი დაგმო პარტიამ, და ამას სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აგრეთვე რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის შესაბამისი ხელმძღვანელი შუშაკები.

დიახ, ხელშესახები მიღწევებით სოფლის მეურნეობაში ჯერ ვერაფერს დაეტრაბახებინ, თუმცა შარშან ზოგიერთი მიმართულებით მივაღწიეთ გარკვეულ შედეგებს. უწინარესად, ალბათ, აღსანიშნავია ის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და საერთო საკავშირო ფონდში მიწოდების სახელმწიფო შეკვეთების მოცულობა, ჩაის გა მარკეტიულის გარდა, ძირითადად უკვე შეესაბამება ხუთწლედით გათვალისწინებულ დავალებებს. შარშან მეტი უურადღება ექცეოდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობის, განსაკუთრებით სანარდო იჯარის უფრო ფართოდ დანერგვას. თუმცა, ზოგ ადგილობრივ ხელმძღვანელს ჯგონი, თითქოს იჯარა წარმოების მოცულობის მოუმატებლად უნდა ინერგებოდეს, რაც ყოველად მიუღებელია. იჯარის დანერგვის გაფართოებამ ნაკლები დანახარჯებით წარმოების ზრდის გარანტია უნდა შექმნას.

შარშან აგროსამრეწველო კომპლექსის გადამუშავებელ მრეწველობაში მეტი უურადღება ექცეოდა იმ პროდუქტების წარმოების უპირატეს ზრდას, რომლებზეც სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება. წლეულს მნიშვნელოვნად მეტი უნდა გაკეთდეს ყველითი, კარაქით, მაკარონით, კონსერვებითა და ხილ-ბოსტნეულით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად.

შარშან მთელ რიგ რაიონებში წინა პლანზე წამოიწია მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების დავალების შესრულების აუცილებლობამ. არ უნდა მტკიცება იმას, რომ მტკიცე საკვები ბაზის გარეშე მეცხოველეობის განვითარების მტკივნეული პრობლემა ვერ გადაწყდება. ამიტომ კარგია, რომ შარშან ამ საკითხს მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ ორჯონიკიძის, ბოგდანოვკის, თელავის, კასპის, მცხეთისა და წალენჯიხის რაიონები. მათ პირუტყვისათვის ნავარაუდევზე მეტი საკვები დაამზადეს. თერთმეტი პროცენტით გაზარდეს ღორების სულადობა ზესტაფონის რაიონში. მცხეთის რაიონში შარშან, შარშანწინდელთან შედარებით, 16 პროცენტით მეტი ცხვარი და თხა, აგრეთვე შვიდი პროცენტით მეტი ფრინველი ჰყავდათ.

პარტიამ თანამდროვე განვითარების ერთ-ერთ მთავარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად სასურსათო პრობლემის გადაჭრა გამოაცხადა. კარგია, რომ ამ მხრივ ზოგიერთ რეგიონში იგრძნობა წინსვლა. საგრძნობლად გაიზარდა მეცხოველეობის ყოველგვარი პროდუქციის წარმოება ტყიბულის ზონაში, ზესტაფონის, გურჯაანის, ლანჩხუთის, სამტრედიის, საჩხერის, ბაშურის, წულუკიძის, ცხაკაიისა და სხვა რაიონებში. ცალკეულ ნაბეჭდთა პირუტყვის მიხედვით ნამატის კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აბაშის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკისა და ბოლნისის რაიონებში.

ფიან, მოხდა გარკვეული ძვრები, მაგრამ ყველაფერი ეს, შეიძლება ითქვას, ეპიზოდური ხასიათისა იყო. ძირითადად კი მდგომარეობა სახალხო მეურნეობის ამ საარსებო დარგში ძალზე არასასურველია.

ზემოხსენებულ პლენუმზე იმასაც გაესვა ხაზი, რომ ზოგ-ზოგებს სულაც არ ეპიტნავებათ, რომ მშრომელები, მთელი კოლექტივები მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონები გახდნენ. ბევრი ხელმძღვანელი აბრკოლებს იჯარის დანერგვას, ვაითუ მართვის ბერკეტები ხელიდან გამომეცალოსო.

სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბრკოლდება ახალი ფორმების გავრცელება არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ ეკონომიკის სხვა დარგებშიც. აი, სად ეძლევთ პარტიულ მუშაკებს საქმიანობის ფართო ასპარეზი. პირველი, რაც მოგვეთხოვება, ის არის, რომ დავადგეთ მტკიცე და ნათელ პოზიციას იმათ მიმართ, ვინც საქმეს გვიბრკოლებს, ვინც ეწინააღმდეგება ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვას.

ამ ფორმების განვითარების ტექნოლოგიის საკითხთა გადაწყვეტა არ არის პარტიული მუშაკების საქმე, მაგრამ ისინი მოვალენი არიან კონტროლი გაუწიონ ამ პროცესს, წარმართონ იგი, აწარმონონ მიზანმიმართული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მტკიცედ გაატარონ პოლიტიკური გეზი პრობლემების პრინციპული გადაჭრისათვის.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის ხელმძღვანელობას, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული ის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ფორმალიზმს, შაბლონსა და თვალში ნაცრის შეყრას შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმებზე გადასვლის საკითხთა გადაწყვეტისას, რის შედეგადაც სახელი უტყდება უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფო გადაწყვეტილებებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრას, რომლის პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდა მიმდინარე წლის გეგმით 5,8 პროცენტით არის გათვალისწინებული. კომპლექსში შემავალი ყველა დარგისა და სფეროს შემდგომი განვითარებისათვის კი 1989 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებანი გამოიყოფა.

წლეულს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტმა, ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელებმა მთელი უურადღება უნდა დაუთმონ ახალი ეკონომიკური ურთიერთობის, განსაკუთრებით სანარდო იჯარის უფრო ფართოდ დანერგვას, აგრეთვე იმ პროდუქტების წარმოების უპირატეს ზრდას, რომლებზეც ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება.

იმაზე, თუ რა შედეგებს მივაღწევთ წლეულს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, ბევრად არის დამოკიდებული მთლიანად ჩვენი ეკონომიკის წინსვლა. რესპუბლიკას აქვს ამ დარგის განვითარების სოლიდური პროგრამა, რომლის შესრულება მოითხოვს ყველა ბერკეტის ქმედით გამოყენებას. გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა ენერგიული და მიზანდასახული შრომა, რათა გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ არსებული რეზერვები, უზრუნველყოთ მკაცრი მომჭირნეობა სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, დავამყაროთ ჯეროვანი წესრიგი ყველგან და ყველაფერში. ეს საერთო-სახალხო საქმეა და ამიტომ საჭიროა დიდი ძალისხმევა და მონდომება.



კვლავ მუოგლიურ საწარმოში

თერთმეტ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ზურაბ ავალიშვილმა თავისი ცხოვრება ზუგდიდის ფაიფურის ქარხანას დაუკავშირა. ეს იყო 1977 წელს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ. მუშაობდა მუშად, შემდეგ, ქარხნის საგზურით, თბილისის სამხატვრო აკადემიაში შევიდა. ეს უმაღლესი სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და ახლა მშობლიურ საწარმოში მუშაობს მხატვარ-მემოდელედ..

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მხატვარი-მემოდელე ზურაბ ავალიშვილი.
ᲤᲝᲢᲝᲘᲡ ᲐᲠᲘᲛᲘᲡᲘᲡ („კომუნისტი“) ᲤᲝᲢᲝ.

გაუქმდა ბრძანებულებანი

● **ულან-ბატორი.** აქ გამოქვეყნდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლის თანახმად გაუქმდა წინანდელი ბრძანებულებანი სასაზღვრო ჯარების რაზმისა და საზოგადოებრივი უშიშროების სამინისტროს შინაგანი ჯარების ნაწილისათვის, სახელმწიფო ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის, რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალური ქუჩისათვის ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ.

მაიკლ დუკაკისის გადაწყვეტილება

● **ნიუ-იორკი.** მაიკლ დუკაკისმა, რომელიც დამარცხდა 1988 წელს პრეზიდენტის არჩევნებში ვიცე-პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ბრძოლაში, 3 იანვარს გამოაცხადა, რომ აღარ წამოაყენებს თავის კანდიდატურას მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე. აქამდე იგი ამ პოსტზე უკვე ზედიზედ სამჯერ აირჩიეს. გუბერნატორის მომდევნო არჩევნები გაიმართება 1990 წელს.

ოქროს ციებ-ცხელება

● **ტოკიო.** „ოქროს ციებ-ცხელება“ დაიწყო იაპონიაში მიმდინარე წელს. როგორც საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ გამოაცხადა, წელს აიღებენ ოქროს გეოლოგიურ სიხვეს ქვეყნის 19 რაიონში. გეოლოგიური დაზვერვა დაიწყება იაპონიის ყველაზე ჩრდილოეთ კუნძულ ჰოკაიდოზე და სამხრეთ კუნძულ კიუსიუზე. უახლესი გეოლოგიური კოსეფციის თანახმად, ოქროს ძარღვი განლაგებულია დიდ სიღრმეზე წყნარი ოკეანის პლატოს საზღვარზე.

საკოორდინაციო ბიუროს სხდომა

● **ნიუ-იორკი.** სამშაბათს გამართულ სხდომაზე მიუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიურომ განიხილა საკითხი, რომელიც ეძღვნება ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ 1925 წლის კონვენციის მოქმედების განხილვის კონფერენციისათვის მზადებას, რამდენიმე დღის შემდეგ პარიზში რომ გაიმართება. სხდომის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ კონფერენციაში მიუმხრობლობის მოძრაობის წარმომადგენლებმა. მათ გამოთქვეს წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ვაშინგტონში დაიწყო ლიბიის წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარის ახალი კომპანია.

(იხ. ᲬᲘᲜ-3 ᲒᲕ.)

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა

ორი განსხვავებული ვითარება და... ერთნაირი დაჭდომა?

სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება — ეს ტერმინები მყარად დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ეკონომიკური აზროვნების ლექსიკონში. ჩვენს რესპუბლიკაში და ქვეყანაშიც საერთოდ ბევრი შრომითი კოლექტივი ახლა სწორედ ამ მეთოდით მუშაობს. იქ, სადაც დროულად დაიჭირეს თადარიგი და ცდა არ დაკლეს რადიკალური რეფორმისათვის მტკიცე ფუნდამენტის შექმნას, წარმატებებიც ხელშესახებია. მაგრამ ყველგან ერთნაირი მონდომებითა და პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ ამ სერიოზულ საქმეს, თანაბარი ძალისხმევით როდი იზრუნეს საამისოდ რეზერვების ამოქმედებისათვის. ამიტომაც, ცხადია, ბევრმა ზარალიან მუშაობასაც თავი ვერ დაიღწია. ახეთ კოლექტივებს დღეს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ, რომ დასძლიონ ხსვისი მოიმედეობის განწყობილება და, როგორც იტყვიან, წელში გაიმართონ.

მაშასადამე, არის მისაბაძი გამოცდილებაც და აუცილებლად გასათვალისწინებელი სერიოზული ხარვეზებიც. როგორია ამ რეალური მდგომარეობისადმი დამოკიდებულება ქუთაისის იმ საწარმოებში, რომლებიც მიმდინარე წლიდან ახლებურად უნდა შეუდგნენ მუშაობას?

სწორედ ამის გასარკვევად შეხვდა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ᲗᲐᲜᲘᲐ ᲗᲘᲗᲔᲠᲐᲫᲔ ქუთაისის პუროპროდუქტების კომბინატისა და მინის ტარის ქარხნის დირექტორებს და სთხოვა მათ პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე:

1. რა და როგორ გაკეთდა საწარმოში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასასვლელად?

2. რა სიძნელეები და პრობლემები გაქვთ ამ მხრივ, რა ღონისძიებებს ახორციელებთ მათი ოპერატიული გადაწყვეტისათვის და როგორია ამ მუშაობის ეფექტიანობა?

3. როგორ გეხახებათ ახალ პირობებში მუშაობა, შეხძლებს საწარმო გამართულად ფუნქციონირებას?

სამი შეკითხვა საწარმოს ხელმძღვანელს

პუროპროდუქტების კომბინატის დირექტორი **თეიმურაზ შავგულიძე:**

— მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ 1987 წლიდან. შეიქმნა სპეციალური კომისია, შემუშავდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმა. მასში გათვალისწინებული იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, ხელფასის, მოგების და სხვა ძირითადი მაჩვენებლების გადაანგარიშება, შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემის დანერგვა საქართველოს სსრ პუროპროდუქტების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად. კადრების ეკონომიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის მუშაობაში ჩავრთეთ მოწვეული მეცნიერი მუშაკები და აგდილობრივი წამყვანი სპეციალისტები.

დავნერგეთ შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდები, შეკმენით სამეურნეოანგარიშიანი ორი გამჭოლი კომპლექსური ბრიგადა, რომლებიც აერთიანებენ მომუშავეთა 46,5 პროცენტს. მათს წევრებს მუშაობა მისი საბოლოო შედეგების, შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გაანგარიშებით უნაზღაურდებათ. ამან გაზარდა მომუშავეთა მატერიალური დაინტერესება, შრომის ნაყოფიერება, მოგება, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, დადებითად იმოქმედა მთელი კომბინატის საბოლოო შედეგებზე. კოლექტივში საშუალო ხელფასი 7,3 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება კი 2,3 პროცენტით შემცირდა.

ამასთან, ტექნოლოგიური პროცესების სისტემატური სრულყოფამ და სხვა ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა 12 პროცენტით შეგვემცირებინა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, რამაც კიდევ უფრო მეტად — 22,1 პროცენტით გაზარდა საშუალო ხელფასი. შარშანდელი 1 დეკემბრიდან მთელი კომბინატი გადავიყვანეთ შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ახალ მეთოდზე, შედეგები აქაც კარგია. საშუალო ხელფასის ზრდას წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი — მოგებისა და რენტაბელობის დონის ამაღლების მთავარი პირობა, წარმატებით სრულდება საგეგმო დავალებები. შიდასაწარმოო წუნის და რეკლამაციის არც ერთი შემთხვევა არ გვქონია.

რაც შეეხება მეორე კითხვას, აქ მთავარია ერთი საკითხი, კერძოდ ის, რომ ნედლეულის რესურსების შეზღუდულობის გამო ქრონიკული ხასიათი მიიღო წარმოების მოცულობის შემცირებამ. დაგეგმვის ასეთი ტენდენცია კი უარყოფითად მოქმედებს სიმძლავრეების დატვირთვაზე, ცვლიანობის კოეფიციენტზე, არამწარმოებლურ ხარჯებზე და, საერთოდ, ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მაგალითად, ბოლო სამი წლის მანძილზე ამის გამო 180 ათასი მანეთით შეგვემცირდა მოგება. არადა, თვითდაფინანსების მეთოდით მუშაობისას მოგება განმსაზღვრელი მაჩვენებელია. აქ გვჭირდება რესპუბლიკის პუროპროდუქტების სამინისტროს ეფექტიანი და რეალური დახმარება.

არ გვაკმაყოფილებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპიც. მიუხედავად იმისა, რომ საწარმო ძირითადად მექანიზებული და ავტომატიზებულია, მანქანა-დანადგარების 30 პროცენტი მაინც მოძველებული შემოგვრჩა. ამიტომ ზოგჯერ შრომის რიტმი გვერღვევა.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით კვლავ უნდა გაზვავრძოთ მუშაობა მუშაკთა გამოთავისუფლებისათვის, რომლებიც წარმოების სხვა უბნებზე დასაქმდებიან. ჯერჯერობით ვერ შეეძელით ყველა საამქროსა და უბნის გადაყვანა სამეურნეო ანგარიშით მუშაობაზე, აუცილებელია კომბინირებული საკვების კომპლექსის შემდგომი სპეციალიზაცია, ძირითადი ფონდების განახლების დაჩქარება და სხვა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ გაწეული მუშაობის მიუხედავად, დასაკეთებელი კიდევ ბევრია. მუშაკთა უმეტესობა სუსტად ერკვევა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობის პრინციპებში, მის დიდ პროგრესულობაში. ამ საქმის იდეოლოგიური უზრუნველყოფა გადაუდებელ ღონისძიებად გვესახება.

დაბოლოს: მიმაჩნია, და ეს მთელი კოლექტივის აზრია, რომ სიძნელეებსაც დავძლევთ და კომბინატი გამართულადაც შესძლებს ფუნქციონირებას სრული სამეურნეო ანგარიშით მუშაობის პირობებში.

მინის ტარის ქარხნის დირექტორი **მალვინა შეკლაშვილი:**

— ჩავატარეთ სამუშაო ადგილების ტარიფიკაცია, შემცირდა 36 მუშისა და 14 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის საშტატო ერთეული. ატესტაცია ჩაუტარდა მუშამოსამსახურეთა 95 პროცენტს. მართვის გამარტივების მიზნით, ახალი ტარიფებისა და სარგოების გათვალისწინებით, შედგა ახალი საშტატო ერთეულები. აკვიტოდან სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანეთ ბროლის საამქრო, რომლის შედეგების მაგალითზე ქარხნის დანარჩენი საამქროებისათვის შეეიმუშავეთ შიდასამეურნეო ანგარიშით მუშაობის მაჩვენებლები და სხვ.

ახლა, რაც შეეხება პრობლემებს: იმისათვის, რომ მსოფლიო სტანდარტების დონეს მიუახლოვდეს ჩვენს მიერ წარმოებული ქილა, რომლის ხვედრითი წილი ქარხნის მთელს პროდუქციაში 64,2 პროცენტია, საჭირო ხდება მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მექანიკური პარკის 90 პროცენტით გაახლება, სამამულო წარმოების მინის დამფორმებელი მანქანების იმპორტული მანქანებით შეცვლა, კაზნის შედგენის ავტომატური ხაზის დანერგვა, ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია. მართალია, არსებობს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტის ბრძანება ქარხნის რეკონსტრუქციის შესახებ, რისთვისაც გათვალისწინებულია დაიხარჯოს 14 მილიონი მანეთი, მაგრამ აქაც დიდი სირთულის წინაშე ვდგავართ. ჯერ ერთი, საწარმოს რეკონსტრუქციის დაწყება გათვალისწინებულია 1991-1992 წლებში, დამთავრება — 1995 წელს, მეორეც, გადაწყვეტილი არ არის საზღვარგარეთული მაღალმწარმოებლური მანქანების შეძენის საკითხი, ძალიან ჭიანურდება კაზმის საამქროსთვის აუცილებელი ავტომატური სასწორების შესყიდვა კიევის ქარხნიდან, რომელიც მათ ათვისებას ხმლოდ 1990 წელს დაიწყებს.

დღეისათვის საწარმო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია იმის გამო, რომ რესპუბლიკის საკონსერვო ქარხნებს არა აქვთ გადახდილი უნარი. შარშან ქარხანა ორჯერ იმყოფებოდა კარტოფკაზე. ბანკიდან სესხს ვიღებთ, პროცენტებს, ჯარიმებს ვიხდით, სახელმწიფო ვალი კოლოსალურ ციფრს — 2018 ათას მანეთს შეადგენს, კარტოფკაზეა 577 ათასი მანეთი. ამ დროს საკონსერვო ქარხნებიდან კი გვერგება 1620 ათასი მანეთი. საკითხი დაისვა საწარმოო გაერთიანება „საქგრომრეწეტარაში“. მისი დახმარებით რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლის შესაბამისადაც ხახელმწიფო ბანკი საკონსერვო წარმოებით შემოსულ თანხას პირველ რიგში მინის ტარის ქარხნებს ჩაურიცხავს. მაგრამ როდის? სამეურნეო ანგარიში ხომ, როგორც იტყვიან, კარზე გვიკაკუნებს.

გვაწუხებს ფასების პრობლემაც. მუყაოს ყუთებისა და თუნუქის ხუფების დამამზადებელი საამქროები არარენტაბელურია. აქ მანეთის პროდუქციის შესაქმნელად მანეთზე მეტი იხარჯება. მთელი დასამზადებელი მასალის 99,1 პროცენტი ძვირფასირებულია და, შესაბამისად, პროდუქციის საბითუმო ფასიც საცალოსას აჭარბებს.

ეს საკითხი დაისვა ფასების კომიტეტშიც, საწარმოო გაერთიანებაშიც. ფასების ცვლილება კი გათვალისწინებულია მხოლოდ 1991 წლიდან. მაგრამ მანამდე რა ვქნათ? ორი წელი ისევ ზარალით ვიმუშაოთ?

არის ჩვენგან დამოუკიდებელი სხვა პრობლემებიც, კერძოდ ის, რომ ძვირდება მასალები. მაგალითად, ქილის წარმოებისათვის საჭირო კვარცის სილა. მომწოდებელმა თავისი ნედლეული 1989 წლიდან 65 კაპიკით გაგვიძვირა. სატრანსპორტო ხარჯებმა და სხვა ფაქტორებმა. მარტო ბოლო სამ წელიწადში 15 საწარმოო ტრავმის გამო მოცდა 529 კაცდღე და დაიკარგა 18 ათას მანეთზე მეტი პროდუქციის შექმნის საშუალება, არამწარმოებლურმა ხარჯებმა კი 336 ათასი მანეთი შეადგინა. ქარხანას არა აქვს ხელრიანი საერთო საცხოვრებელი. არ კმარა გარდერობები, საშხაპეები...

როცა შრომის პირობები და სხვა სოციალური საკითხები მოუგვარებელია, დისციპლინა აქილევსის ქუსლია, საწარმო ვალებში იხრჩობა, სანტერესოა, მაინც საიდან მოდის მისი ასეთი მტკიცე ოპტიმიზმი?

როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, რომ საქმე წინ წავიდეს, მაგრამ... ეჭვის საფუძველს გვაძლევს ისიც, რომ ქარხნის კოლექტივს ბევრად არაფერით გამოუდვია თავი იმისათვის, რომ გაეთვალისწინებინა და პრაქტიკულადაც განეხორციელებინა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის ბიუროს არაერთ დადგენილებაში განზოგადებული შესაბამისი დასკვნები.

არადა, დრო ცოტა, ძალიან ცოტა დარჩა. წინ კი დიდი, რთული და მასშტაბური პრობლემებია გადასაწყვეტი. და სწორედ მათი ოპერატიული მოგვარება უნდა იყოს უახლოესი მომავლისათვის საწარმოს ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის, თითოეული მშრომელის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მიზანია ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს ხსრ რესპუბლიკაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნისა და სატყეო მეურნეობის მართვის სრულყოფის საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ „ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ“ 1988 წლის 7 იანვრის და „ქვეყნის სატყეო მეურნეობისა. და ზეტყის მრეწველობის მართვის სრულყოფის შესახებ“ 1988 წლის 10 მარტის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად აღასიათებს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ბუნებადაცვითს. საქმიანობასა და სატყეო მეურნეობის გაძღოლას.

რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში საწარმოო ძალების განვითარება ხორციელდება ისე, რომ ჯეროვნად არ ითვალისწინებენ ეკოლოგიურ შედეგებს და არ ტარდება ერთიანი ბუნებადაცვითი პოლიტიკა.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო აღმასკომი, ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არ უზრუნველყოფენ კომპლექსურ მიდგომას ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა გადაჭრისადმი, ეფექტიანად არ ხორციელდება საწარმოთა და ორგანიზაციათა ბუნებადაცვითი მუშაობის კოორდინაცია. საქართველოს კომპარტიის სოოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადოდ არ მოაკონტროლეს უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ბუნების დაცვის ღონისძიებათა დროული და ხარისხოვან შესრულებას. საჭირო უურადღება არ ვთმობა ადამიანთა ეკოლოგიურ განათლებასა და აღზრდას, ბუნებადაცვითი ცოდნის პროპაგანდას, მოსახლეობის ყველა ფენის ეკოლოგიური კულტურის ამაღლებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა არ უნდა შეეცვალონ სამინისტროები, უწყებები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები მათს საქმიანობაში ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისათვის. დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ორგანოებს, გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს კვლავ დაკისრებული აქვთ პასუხისმგებლობა ამ საქმეში.

საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს ევალება განახორციელოს რესპუბლიკაში ბუნებადაცვითი საქმიანობის კომპლექსური მართვა, შეიმუშაოს და გაატაროს ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, კოორდინაცია გაუწიოს ამ დარგში სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას; სახელმწიფო კონტროლი დაუწესოს მიწების, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების, ატმოსფეროული ჰაერის, მცენარეული (მათ შორის ტყეების) და ცხოველთა სამყაროს (მათ შორის თევზის მარაგის), ზღვის გარემოს და ტერიტორიული წყლების ბუნებრივი რესურსების, კონტინენტური შელფისა და რესპუბლიკის ფარგლებში სსრ კავშირის ეკონომიკური ზონის, აგრეთვე გავრცელებული სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვისადმი. დადგენილებით განსაზღვრულია ამ სახელმწიფო კომიტეტის სხვა უფლება-მოვალეობანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას, სახმამართველებს წინადადება მიეცათ დარგების განვითარების გრძელვადიანი პროგნოზებისა და მიმართულებების, საწარმოთა განლაგების სქემების, სახელმწიფო გეგმებისა და მათი რეალიზაციის პროექტების შემუშავებისას გათვალისწინონ მცირეგარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების ბაზაზე კომპლექსური სამრეწველო და სასოფლო-სამე

[illegible] უფლებებ[illegible] და პასუ[illegible]

ახლანდელი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა კანდიდატების დასახელება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან. იყენებენ რა ამ პირველად მინიჭებულ უფლებას, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად შეუდგნენ შესაძლო კანდიდატურათა შესახებ წინადადებების განხილვას. მათი რიცხვიდან, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად დასახელება მოხდება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო საკავშირო ორგანოების პლენუმებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს წინადადებანი პროფკავშირებისაგან სახალხო დეპუტატობის შესაძლო კანდიდატების — პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული ექსპერიმენტული სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორის შ. ა. ამონაშვილისა და თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების ამწყობ-ხეინკლის რ. ტ. ორაგვლიძის დასახელების შესახებ.

ისინი დაასახელეს თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და თბილისის დ. უშინსკის სახელობის ექსპერიმენტული სკოლის კოლექტივების პროფკავშირულ კრებებზე, აგრეთვე თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების პროფკავშირული აქტივის კრებაზე.

— ამონაშვილის წიგნები სამაგიდო წიგნები გახდა არა მარტო პედაგოგთა ახალგაზრდა თაობისათვის, არამედ მშობლებისთვისაც. ამ წიგნებმა თითქოს გადეს ხიდი ოჯახსა და სკოლას შორის, — აღნიშნა მ. ს. გვილავამ, ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა, რომელშიც მეცნიერი უკვე 22 წელი ეწევა ნოვატორულ მოღვაწეობას. — გამოცდილებისათვის ჩვენთან ჩამოდიან სპეციალისტები ქვეყნის ყველა კუთხიდან, ობადება შემოქმედებითი თანამშრომლობა, იდეათა ერთობა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სკოლის გარდაქმნისა და ცხოვრების საერთო განახლების ახლანდელ პირობებში.

ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ე. რამიშვილმა აღნიშნა, რომ რომან ორაგვილაძის კანდიდატურა მოიწონა კოლექტივის კრებაზე გამოსულმა ოხუთმეტივე ორატორმა. რესპუბლიკის უმაღლესი სახელოს დეპუტატად ყოფნის დროს, წარჩინებულმა მუშამ გამოიჩინა პრინციპულობა და გულმოდგინება საქმეებში, თავმდაბლობა და გულისხმიერება კოლეგებთან ურთიერთობაში. წარმოებაში მისი წარმატებული მუშაობა აღინიშნა მეორე და მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენებით.

დასახელებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ე. ნ. გუგუშვილმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სასწავლებლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ს. კობახიძემ, **მანქანათმშენებლობისა** და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. გ. სარალიძემ და სხვებმა.

სხდომაზე გადაწყდა პროფკავშირებისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებისათვის **საკავშირო** პროფსაბჭოში წარადგინონ შალვა ალექსანდრეს ძე ამონაშვილისა და რომან ტიტოს ძე ორაგვილაძის კანდიდატურები.

წინადადებანი სხვადასხვა დარგობრივი პროფკავშირის ძირეულ რგოლებში დასახელებული სახალხო დეპუტატობის შესაძლო კანდიდატების შესახებ გაიგზავნა მათს ცენტრალურ კომიტეტებში შემდგომი განხილვისათვის.

(საქინფორმი).

მიზანია ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნა

(დასასრული)

იონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის დარგში ყველა ობიექტის, საწარმოს და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაცია მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ამასთან იხელმძღვანელონ შესაბამის რეგიონებში ეკოლოგიური ვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობით, რომელიც ეკისრებათ მართვის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან არსებობდეს საზოგადოებრივი საბჭო, რათა უზრუნველყოთ ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის დიდი პრობლემების ყოველმხრივი, ღრმა განხილვა და შეგიმუშაოთ რეკომენდაციები მათი გადაჭრის შესახებ, რომელშიც შევლენ მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წარმომადგენლები, საწარმოთა ხელმძღვანელები.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო დემოკრატიზაციის პირობებზე საწარმოთა გადაყვანის პირობებში საჭიროა მტკიცე გადასვლა უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან ბუნებადაცვითი საქმიანობის მართვის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე. უნდა ვიღაწოთ იმისათვის, რომ საწარმოთა მუშაობის საბოლოო შედეგები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მათ მიერ განხორციელებული ბუნებადაცვითი ღონისძიებების ეფექტიანობასთან, რომ თითოეული მრომითი კოლექტივი და თითოეული მშრომელი დაინტერესებული იყოს ბუნებადაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებით.

დადგენილება, რომ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში ბუნებადაცვითი ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს ძირითადად საკუთარი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ხარჯზე. დიდი ბუნებადაცვითი ღონისძიებების დაფინანსებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს დადგენილი წესით სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდება.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, საქინფორმს, საქართველოს სსრ პოლიგრაფიის და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს მწერალთა კავშირს, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირსა და სხვა შემოქმედებითს კავშირებს, რესპუბლიკური, საოლქო და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნას“, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწეულთა გამოფენას დაეალათ ძირფესვიანად გაიუმჯობესონ მუშაობა ბუნების დაცვის პროპაგანდისათვის, ჩაუნერგონ საბჭოთა ადამიანებს ყირამთიანი და მაღალზნეობრივი დამოკიდებულება მცენარეული და ცხოველთა სამყაროსადმი, მიწის, წყლის რესურსებისა და საარგებლო წიაღისეულისადმი. ამაღლონ სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო ლიტერატურის, კინოფილმების, რადიო და ტელევიზიორსა და სხვა შემოქმედებითს ერთობლივ ძალისხმევა, ფართოდ ჩაუნერგონ ბუნების დაცვის საქმის გარდაქმნის სხვა კონკრეტულ ღონისძიებებსაც.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს ეკონომიკურ კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ [illegible] ბუნების დაცვის [illegible] ეკონომიკის [illegible] ბიუჯეტთან, [illegible] ბუნებრივ [illegible] ბიუროკრატიული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოები, საქართველოს საზოგადოებრიობა ყველაზე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი სამშობლოს ბუნების დაცვის საქმეში და უზრუნველყოფენ ბუნებრივი სიმდიდრის დაცვასა და გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის.

(საქინფორმი).

განვიხილავთ კანონის პროექტს

საყოველთაო სახალხო განხილვისათვის. გამოქვეყნდა სსრ კავშირში საგამომგონებლო საქმიანობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონის პროექტი. მის ძირითად ამოცანათა შორის არის დაიცვას ნოვატორთა უფლებები, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი პრაქტიკაში გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას.

ხაჭიფორმის კორესპონდენტმა სთხოვა განმარტა ახალი სამართლებრივი დოკუმენტის პროექტის უმნიშვნელოვანესი დებულებები გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების რესპუბლიკური ხაბჭოს თავმჯდომარეს ი. ხაზარაძეს.

— უწინარეს ყოვლისა, — თქვა ი. ხაზარაძემ, — მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს შრომელთა შემოქმედებითი პოტენციალის სრულად გამოყენებას გარდაქმნის, ახალი სამეურნეო მექანიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში. ამჟამად ხომ გამომგონებლობა მიზნად ისახავს სრულიად ახალი, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ვთვლი იმას, რომ კანონის პროექტი მიზნად ისახავს გაზარდოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ეკონომიკური დაინტერესება იმ გამოგონებათა გამოყენებით, რომლებიც თვალისწინებენ მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების მონაწილეთა მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებათა ფართო კომპლექსს.

— რა პრინციპული განსხვავებაა გამოგონებათა დანერგვის არსებულ წესსა და იმას შორის, რასაც კანონის პროექტი გვთავაზობს?

— სინამდვილეში, ნოვატორები დღემდე ბევრ რამეში უუფლებონი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა დგება დანერგვის დრო. ზოგჯერ პარადოქსული სიტუაცია იქმნება. თავად განსაჯეთ: გასული ხუთწლედის შედეგებით თაროებზე დარჩა რესპუბლიკის მშრომელთა 1,5 ათასზე მეტი გამოგონება და 22 ათასზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვაც ვერაფრით ვერ მოხერხდა. ამავე დროს საქართველოს საწარმოებმა და ორგანიზაციებმა იმავე პერიოდში ბოლომდე ვერ აითვისეს 12 მილიონი მანეთი, რომელიც სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამისათვის იყო გამოყოფილი. უფრო მეტიც, საქართველოს სს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ვიყენებთ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების მხოლოდ 30 პროცენტს. წარმოგიდგენიათ, წარმოების განახლების, რაციონალიზაციის რა შესაძლებლობებს შეიცავს დანარჩენი 70 პროცენტი!

და კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ: გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების შემოქმედებითი ორგანიზაციები, წარმოების ზოგიერთი მეთაურის, ადმინისტრატორისათვის დღემდე ასრულებენ თავისებური საკადრო განტევების ვაცის როლს. თუ სადმე სჭირდებათ შტატების შემცირება, უწინარეს ყოვლისა დაითხოვენ ხოლმე რა-ციონალიზაციის დარგის ინჟინრებს და სხვა. განსაკუთრებით ეს ეხება აგროსამრეწველო კომპლექსს — იქ რაიონულ მმართველობით აპარატებში შემცირება დაიწყეს ამ კატეგორიით, თუმცა ყოველ რაიონში მხოლოდ ერთი სპეციალისტი ჰყავთ...

არ მინდა ყოველივე ეს დავბარალო მხოლოდ უძრაობის პერიოდს — ასეთი მდგომარეობა დღემდე არ აღმოფხვრილა, სწორედ ამიტომ კანონის პროექტში განსაკუთრებით ხაზგასმულია სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ნოვატორების მიერ შემოთავაზებული გამოგონებების დანერგვისათვის. უფრო მეტიც, მათ უფლებას ენიჭებათ გამომგონებლებისათვის შექმნან შრომისა და შემოქმედების სპეციალური პირობები და სხვა...

— ახლანდელ პირობებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იხეთები, როგორიც არის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოება, სულ უფრო ფართო უფლებებს იძენენ, უფრო ზუსტად განსაზღვრავენ თავიანთ სტატუსს. რა ცვლილებებს ითვალისწინებს აქ კანონის პროექტი?

— საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება უკვე გახდა იურიდიული პირი. მან ერთი წლის წინათ მიიღო უფლება გამომგონებელთა ინტერესების დაცვის მიზნით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ აღძრას სარჩელი სახალხო სასამართლოებში. ჩვენ დავიწყეთ ამ უფლების ფართო გამოყენება. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს: ქარხანა „საკსოფლმანქანის“ მუშაკის თეიმურაზ ლორთქიფანიძის გამოგონება გამოიყენეს წარმოებაში, საავტორო გასამრჯელო კი მისთვის წლების განმავლობაში არ მიუციათ: სასამართლომ აღადგინა სამართლიანობა.

სხვათა შორის, კანონის პროექტში განსაკუთრებით არის ნათქვამი „ასამრჯელოს გადახდის შესახებ. უფრო მეტიც, მისი ოდენობა დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტის თანხის 2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე გაზარდა, გასამრჯელოს გადახდის დაგვიანების ყოველი დღისათვის კი მისი ოდენობა ერთი პროცენტით იზრდება. ეს წესი წინათ რომ ყოფილიყო, იგივე ლორთქიფანიძე მილიონერი გახდებოდა, ქარხანა „ი, რომლის მომართაც აღიძრა სარჩელი, გაკოტრდებოდა.

მაგრამ პროექტში ზუსტად უნდა დავთქვათ, თუ ვის ხარჯზე იქნება გადახდილი ეს საჯარიმო საურავები. თუ სახელმწიფოს ხარჯზე, ალბათ, არაფერი არ შეიცვლება. სულ სხვა საქმეა, თუ მას გადაიხდის ბიუროკრატი, რომელსაც ბრალი მიუძღვის საქმის გაჯანჯლებაში...

— კანონის პროექტს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია ყველაფრის გათვალისწინება, — სწორედ ამიტომ არის გამოტანილი იგი განსახილველად. თქვენი აზრით, რა „ვიწრო“ ადგილებია აქ?

— არ არის განსაზღვრული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პოზიცია. მაგალითად, პროექტის ზოგიერთ პუნქტში, სადაც ლაპარაკია გამომგონებელთა წახალისებაზე, მათ შორის საბინაო პირობების გაუჯობესებაზე, დისერტაციის დაუცველად სამეცნიერო ხარისხის მინიჭებაზე და სხვა, მეორდება საკმაოდ არაკონკრეტული სიტყვები „დიდი გამოგონებისათვის“. კი, მაგრამ, რას ნიშნავს დიდი გამოგონება? ვფიქრობ, უბრალოდ უფრო ზუსტად უნდა იყოს ყველაფერი ნათქვამი, თორემ ბიუროკრატებისათვის კვლავ რჩება საკმაოდ მოხერხებული საშუალება ქეთილი საქმისათვის ხელის შესაშლელად. უნდა შევიმუშაოთ აგრეთვე გამოგონების დანერგვის შედეგად ეკონომიკური ეფექტის გაანგარიშების ოპტიმალური მეთოდიკა.

— კანონის პროექტი ითვალისწინებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საბჭოების მუშაობის სამეურნეოანგარიშებრივ პრინციპებს. როგორ განხორციელდება ისინი პრაქტიკაში?

— ჩვენ ახლა უკვე გვაქვს შეესაძლებლობა გავხდეთ ბანკების მეპაიეები წარმოებაში ამა თუ იმ სიახლის დანერგვისას. ესე იგი დავაფინანსოთ მისი დანერგვა, შემდეგ კი სიახლის შედეგად მიღებული მოგების თანხიდან დავიბრუნოთ დახარჯული ფული. და ეს ნოვატორთა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების ერთეული მაგალითი როდია. ვფიქრობ, ყოველივე ეს უნდა დავამკვიდროთ კანონით, და ვთქვათ სხვა პრობლემებიც, კერძოდ — წილობრივ საწყისებზე ბინების მშენებლობის შესაძლებლობა.

კანონის პროექტი უთუოდ დაიხვეწება, მისი ბრავალი მუხლი შეიცვლება. მაგრამ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრივ შემოქმედებითი ძიების სამართლებრივი დაცვის თვით ფაქტი, ჩვენი საზოგადოების დაინტერესება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მუშაობის საუკეთესო საბოლოო შედეგის მიღწევით.

(საქინფორმი).

ნოვატორის უფლებებს კანონი დაიცავს

— ეს ინფორმაცია ერთობაშად მოზღვავდა. აზრთა გაცვლამ გვიჩვენა, რომ თვით სამეცნიერო წრეებში საკითხი სულ სხვადასხვაგვარად ესმით, რომ მეცნიერები ხშირად თითქოს სულ სხვადასხვა „ენაზე“ ლაპარაკობენ. მით უფრო გვმართებს ყურადღებით მოვუსმინოთ ერთიმეორეს და შევეცადოთ საერთო პოზიცია შევიმუშაოთ თუნდაც მხოლოდ იმაზე, როდის უნდა გადაიდეს სამეურნეო ანგარიშზე საქართველო, როგორ უნდა მოვამზადოთ ეს გადასვლა. ხოლო თუ საერთო აზრს ვერ შეიქმნით, ვიცქეროთ ცალ-ცალკე ჯგუფებად და ალტერნატიული კონცეფციები საჯაროდ განვიხილოთ.

თითოეულმა ასეთმა სამეცნიერო ჯგუფმა თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი კვლევის პრობლემატიკა, ისინი არ უნდა შეებოჭოთ კვლევის იმ პროგრამით, რომელიც გასული წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“. საქმე ის არის, რომ ეს პროგრამა ემყარება მხოლოდ ერთ კონცეფციას, საკითხისადმი მხოლოდ ერთ მიდგომას. მისი ძირითადი ამოცანაა ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლის, რესპუბლიკისა და მისი მოსახლეობის შემოსავლისა და ხარჯის, საქონლის შემოტანა-გატანისა და სხვა ბალანსების გაანგარიშება. როგორც ჩანს, მიზანი აქ იმის განსაზღვრაა, გვყოფნის თუ არა ჩვენ ჩვენი მატერიალური, ფინანსური და სხვა რესურსები, მაგრამ იბადება საპირისპირო კითხვაც: აუცილებელია თუ არა და, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ამის განსაზღვრა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამდე? ხომ არ იქნებოდა ეს ყურადღების ჩამოცილება სხვა, უფრო მთავარი საკითხებისაგან?

საქმე ის არის, რომ დღეს ამ გაანგარიშებათა საიმედო ამოსავალი სიდიდეები არ მოგვეპოვება. მართალია, პროგრამაში პირველ ეტაპად გაანგარიშების მეთოდიკის შედგენაა შეტანილი, მაგრამ რა მეთოდიკა მიუდგება ჩვენს სინამდვილეს, თუ თვითონ ეს სინამდვილე, თვითონ ეკონომიკური ცხოვრება არ გარდაქმენით?!

სამეურნეო ანგარიშმა უნდა დაამკვიდროს რესპუბლიკის ისეთი ურთიერთობა შინ და გარეთ, რომელშიც სწორად ჩამოყალიბდება ფასი და ჩვენი ეროვნული შემოსავალი. მხოლოდ ასეთი, რეალური ეკონომიკური ცხოვრებაში ჩამოყალიბებული სიდიდეები უნდა დაეუფლოთ გაანგარიშებებს საფუძველად. თორემ დღეს ფასი მწარმოებელთა და მომხმარებელთა ურთიერთობაში კი არ ყალიბდება, იგი წესდება, ხელოვნურად, სუბიექტურად არის გაანგარიშებული; ხოლო შემოსავალთწარმოქმნა ისეა გაეკეთებულია, რომ ეროვნებათაგან ყოველ რესპუბლიკას, ეს იმიტომ არა ვთქვათ, „მაყოფილი“ ყოფილა და მთხოვნელის მდგომარეობაში აყენებს. ასეთია მოქმედებანი, ადმინისტრაციული ცენტრალიზმის ბუნებრივი შედეგი. უფრო მეტიც, ასეთია თვით ამისი ბუნება. დღეს პარტია, მისი ხელმძღვანელობა ყარგად ხედავს ამგვარი შექანიზმის სავალალო შედეგებს და აჩქარებს მართვის სადაგების დიდი ნაწილის ადგილებისთვის გადაცემას.

ჩვენი ვალია, ამ მოვლენებს ბრძოლა კი არ მიეყვეთ, არამედ ჩავიკრთოთ მათში და მათ შესახებ გამუდმებით მივაწოდოთ ინფორმაცია საზოგადოებას, რომელიც ამ საკითხებზე დროულ და ნათელ განმარტებას ითხოვს. ახლა იმის დრო არ არის, ვიძახოთ შემოსავალი — გვიჯობოთ ხარჯის დასაბუთება და სამეურნეო ანგარიშზე როგორ გადავიდეთო! ჩვენს ამოცანებთან თავდები მხოლოდ ჩვენი-მიწა და წყალი, მხოლოდ ჩვენი ხალხის ეროვნული სიმამაცე და შრომისმოყვარეობა როდია, თავდები ამ ხალხის ცხოვრების დონეც არის, რომელიც სხვა რესპუბლიკებისას არაფრით ჩამორჩება. თავდები ისიც არის, რომ სამეურნეო ანგარიშმა არაეკვივალენტური გაცვლა ეკვივალენტურით უნდა შეცვალოს და რესპუბლიკას საქონელმწარმოებლისა და თავის საქონელზე ფასწარმოქმნის სუბიექტის სტატუსი დაუმკვიდროს და ა. შ.

ვთქვათ და, უნიადაგოა ის ოპტიმიზმი, ვთქვათ, ალიაქოთაში ყველა შეცდომა-დამახინჯება დაძლეთ და ბალანსები მაინც დაუბალანსებელი დაგვრჩა. რა მოხდა მერე, განა სამეურნეო ანგარიში იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკები გაეთიშებიან ერთმანეთს და რომ გაიწირება ის, ვინც თავის ხარჯს თავისი შემოსავლით ვერ ფარავს? **რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში** თვითონ უნდა გახდეს ჩვენი ეკონომიკის მოლონიერების მეთოდი, გზა, საშუალება. მისი ბალანსების შეუწყნარებლობამ დიდხანს არ უნდა გასტანოს, თორემ მცირე ხნით ეს დასაშვებია და ასატანი. წარმოუდგენელიც კია, ყველა რესპუბლიკამ, **და** თანაც ერთბაშად, **აქტიური ბალანსი მიიღოს.**

შეიძლება თქვან, ეგ რაღა საამეურნეო ანგარიში იქნებაო. სწორედ ეგ იქნება სამეურნეო ანგარიში, რადგან იგი ერთთერთთანადგომასაც, თავის დროზე ხელის შეშვერებასაც ნიშნავს, თორემ სრულ განკერძოებას, სრულ დამოუკიდებლობას სამეურნეო ანგარიშს ვერ ვუწოდებთ. განა შეიძლება, საწარმოს დონეზე ეს ცნება შეფარდებითის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას გულისხმობდეს, რესპუბლიკის დონეზე კი—სრულს?

ფიქრელია, საქართველომ დაჯითებით უნდა იაროს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაზრდაგაფართოების გზით. მაგრამ ეს სწრაფვა **კონკურენტ საზღვრებში** უნდა იყოს მოქცეული და შესაძლებლობათა ზრდით განმტკიცებული. რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიში თანდათან უნდა აივსოს ახალი შინაარსით. დროთა განმავლობაში მან თვითონ უნდა აღზარდოს ის კადრები, რომლებიც სულ უფრო ღრმად გაიაზრებენ **და უკეთ აითვისებენ** მართვის ახალ **ფორმებს.**

ჩვენ ათასი ძაფით, ათასი საწარმოო, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირით ვართ დაკავშირებული მთელ ქვეყანასთან, მის ყოველ რეგიონთან. ცხადია, ეკონომიკური დამოუკიდებლობა ამ კავშირების გაწყვეტას არ ნიშნავს, ეს არც ხელსაყრელია და საერთოდ, არც შესაძლებელი. მაგრამ თუ ამ კავშირების შენარჩუნება გვინდა, მათს ცენტრალიზებულ რეგულირებაზეც არ უნდა ვთქვათ უარი, თორემ ქაოსს, სტიქიურობას მივიღებთ და მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. დღესაც კი ბევრ საწარმოს ძალიან უჭირს აიძულოს პარტნიორები დათქმულ ვადებში მიაწოდონ საჭირო მასალა, ნედლეული, დეტალები, ავეჯი და სხვ. ხოლო საქმეში ჩახედულთ ისიც მოეხსენებათ, რომ 1957-1965 წლებში მოქმედმა მართვის ტერიტორიულმა ორგანოებმა — სახალხო მეურნეობის საბჭოებმა — დაიბიანეს ეს ურთიერთობა. ეს ეხება ეკონომიკურ ინტერესებს, ეს ეხება ადამიანურ ურთიერთობებს, ეს ეხება ეროვნულ ინტერესებს. ეს ეხება ეროვნულ ურთიერთობებს.

დემოკრატიის სრული გათვალისწინებით

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ უბანზე დღეს აშკარად იგრძნობა დემოკრატიისა და, კერძოდ, საჯაროობის კეთილისმყოფელი გავლენა. ხდება ღირებულებათა გადაფასება, ხშირად სხვაგვარად აღვიქვამთ იმას, რაც ათწლეულების მანძილზე ცალმხრივად იყო გაგებული და დამკვიდრებული.

გარდაქმნა შეეხო ისეთ პრინციპულ საკითხსაც, როგორიც არის სინდისის თავისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვმალავთ ჩვენს დამოკიდებულებას რელიგიური როგორც არამეცნიერული, მსოფლმხედველობისადმი, მეტი პატივისცემით ვეკიდებით მორწმუნე ადამიანთა ინტერესებს და მათს სულიერ საყოფაზე. თავის მხრივ მორწმუნეთა უდიდესი უმრავლესობა აქტიურად უჭერს მხარს პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკას, სამეურნეო თუ კულტურულ გაჯანსაღებებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ორგანიზაციებიც ნაყოფიერად მონაწილეობენ საზოგადოებრივი პროგრესის ხელშეწყობა ღონისძიებებში, მშვიდობის განმტკიცებისათვის მოძრაობაში და ა. შ.

ხშირად ამ საკითხებს შეეხო XIX საკავშირო პარტკონფერენციაზე მ. ს. გორბაჩოვი და აღნიშნა, რომ „70 წლის წინათ პიროვნულმა ლენინურმა დეკრეტმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ შექმნა მათ შორის ურთიერთობის ახალი საფუძვლები. ცნობილია, რომ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნორმალურად არ ყალიბდებოდა, მაგრამ თვით ცხოვრება, ისტორია აერთიანებდა მორწმუნეებს, როგორც საბჭოეთის მოქალაქეებს, პატრიოტებს დიდი სამამულო ომის განსაცდელის წლებშიც, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შექმნაშიც და მშვიდობისათვის ბრძოლაშიც.

ყველა მორწმუნე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რელიგიას აღიარებს, სსრკ კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქეა. მათი უფიანი უმრავლესობა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში“.

აი, ასეთია ჩვენს სახელმწიფოსა და რელიგიის დამოკიდებულება, ასეთია გარდაქმნის ხელისკვეთებით მათი ურთიერთობის ასპექტები.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული ჩვენს რესპუბლიკაზეც ვრცელდება. ამიტომ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა ეხაუბრა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში ანზორ ზიკლაურს.

— გარდაქმნამ მტკიცედ შემოაბიჯა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში; ცხადია, ამის გარეშე არ დარჩენილა ეკლესიაც. ახლა ახლებურად წარმოჩინდა რელიგიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება. მათი ურთიერთობის მრავალი საკითხი ახლებურ გაშუქებას და განმარტებას ითხოვს. რა მიგაჩნია ამ მხრივ გარდაქმნის დამახასიათებელად?

— ამ ისტორიული მნიშვნელობის რევოლუციური ძვრების ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა მთელ ჩვენს საზოგადოებაში ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღების ვითარების შექმნა, ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, სოციალისტური დემოკრატიისა და სინდისის თავისუფლების ლენინური პრინციპების სრულ უფლებებში აღდგენისათვის ზრუნვა. წარსულს ბარდება მუშაობისა და ხელმძღვანელობის ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული მეთოდები, მოძველებული სტერეოტიპები, რომლებიც ხშირად გამორიცხავდა ცხოვრებისეულ პრობლემებისა და მოვლენებისადმი ღრმად გაზრებულ, შემოქმედებითს მიდგომას.

სხვანაირად, ალბათ, ვერ შეფასდება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიის ადგილის გამარტივებული გაგება, ბოლო ხანებამდე რომ იყო გაბატონებული ოფიციალურ შეხედულებებში. რელიგია განიხილებოდა, როგორც უკვე დრომოჭმული გადმონაშთის სახით შემორჩენილი რეაქციული მოვლენა.

გაბატონებული კონცეფციის მიხედვით, ყოველგვარი რელიგია ითვლებოდა რეაქციული, ანტიხალხური, ანტისაზოგადოებრივი იყო. მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, შეგეხებულად თვალს ვხუჭავდით ქართული ეკლესიის ისტორიულ დამსახურებაზე ჩვენი ხალხის ისტორიაში. ეს მაშინ, როცა ქრისტიანობის წარმოშობა თავის დროზე უდიდესი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა იყო და მისმა ჰუმანისტურმა იდეებმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მრავალი ხალხის ცხოვრებაზე. საქართველოს სინამდვილეში, მაგალითად, ქრისტიანულმა მოძღვრებამ დიდად შეიწყო ხელი ქართველური ტომების კონსოლიდაციას, ქართული ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას უაღრესად მტრული გარემოცვის ვითარებში. ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ მისი როლი ქართული მწიგნობრობისა და ხელოვნების დარგების განვითარების, ერის ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების საქმეში.

რა თქმა უნდა, რელიგიურ დოგმებსა და კონცეფციებში ცოტა როდია მიუღებელი, არამეცნიერული და ფანტაზიური, ზოგჯერ — აშკარად რეაქციულიც კი, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიმალოს ობიექტურად და სრულად შევაფასოთ რელიგიის ადგილი ცხოვრებაში.

— სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის ლენინური „დეკრეტის შემდეგ ერთგვარად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ერთგვარი წინააღმდეგობა და კონფლიქტი მათ შორის მუდამ არსებობდა. რა იწვევდა ამას?

— მართლაც, რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სფეროში ყველაფერი ადვილად და უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა. სამოდელოების ერთი ნაწილი მტრულად შეხვდა ახალ სინამდვილეს, არ მორიდებია მის წინააღმდეგ აშკარა გამოხდომებსაც. ეს გარკვეულწილად იმანაც გამოიარონა, რომ ანტირელიგიური განწყობილება ხშირად აშკარა ძალადობისა და თვითნებობის ფორმებს იღებდა. განუკითხავად ინგრეოდა საკულტო ნაგებობანი, ნადგურდებოდა ისტორიული ღირებულების მქონე სასულიერო კულტურული ფასეულობანი, განსაკუთრებით 30-იან წლებში, რაც „წმინდად რელიგიური ფუნქციების შესრულების მოვალეობამ ეკლესია შეუძლებელია ჩამოაცილოს იმ რთულ პრობლემებს, რომლებიც აღელვებს კაცობრიობას. იმ პროცესებს, რომლებიც ხდება საზოგადოებაში. ყველაზე მაღალ შეფასებას იმსახურებს ჩვენი ქვეყნის რელიგიური ორგანიზაციების სამშვიდობო მოღვაწეობა, მათი წევლილი ბირთვული განიარაღებისათვის ბრძოლაში. ასევე მაღალ შეფასებას იმსახურებს სამღვდელოების გამოსვლები ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის სამართლიანი ურთიერთობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად. ყოველივე ეს შეესაბამება მორწმუნე ადამიანთა სურვილებს, რომლებისთვისაც ახლობელი და გასაგებია მოცალალზმის ჰუმანური იდეალი. ამგვარი პოზიცია გასაგებია მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის“.

ამ სიტყვების რეალური დადასტურების მკაფიო მაგალითებს უხვად ვპოულობთ ახლანდელი ფართო გარდაქმნების ხანაში. ქვეყნის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური გეგმების რეალიზაციის დაჩქარების, დემოკრატიისა და საჯაროობის განვითარების საქმეში ცოტა წვლილი როდი შეუტანთ მორწმუნეებსა და რელიგიურ კონფესიებს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

— ამ ფონზე, როგორც ვიცით, ცუდად არ გამოიყურება საქართველოს ეკლესიაც. საყოველთაოდ ცნობილია მშვიდობისათვის მისი ბრძოლა და საქველმოქმედო საქმიანობა.

— დიახ, საქართველოს ეკლესია, რომელმაც ავტოკეფალია საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების წყალობით დაიბრუნა, მხარს უჭერს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშვიდობო საგარეო პოლიტიკას, აქტიურად მონაწილეობს ყოველ საშვიდობო წამოწყებასა და აქციაში. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გარდა საქართველოს ეკლესია წევრია ქრისტიანული საშვიდობო და ეკრების ეკლესიათა კონფერენციისა. მის წარმომადგენლებს სისტემატურად ვხედავთ სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე და კონგრესებში. საგრძნობლად გააქტიურდა კავშირურთიერთობა და დელეგაციების გაცვლა მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიასთან.

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ეკლესიის საქველმოქმედო საქმიანობაც: საქართველოში სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალებულების დახმარების ფონდში გადარიცხულია 227 ათას 400 მანეთი, ჩერნობილის ტრაგედიასთან დაკავშირებით — 50 ათასი მანეთი. უკანასკნელ ხუთი წლის მანძილზე მშვიდობის, ძეგლთა დაცვისა და კულტურის ფონდთა ანგარიშებზე ჩარიცხულია მილიონამდე მანეთი. 10 ათასი მანეთი ჩაერიცხა წმიდელი ჯვრის რესპუბლიკურ საზოგადოებას და ა. შ.

მოძმე სომხეთში მიწისძვრისაგან გამოწვეული ტრაგედიის პირველსავე დღეს საქართველოს საპატრიარქომ დაზარალებულთა დახმარების ფონდში 100 ათასზე მეტი მანეთი ჩარიცხა.

— XIX პარტკონფერენციაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ სინდისის თავისუფლების შესახებ მზადდება ახალი კანონის პროექტი, რომელიც ლენინურ პრინციპებს ემყარება და ითვალისწინებს ახალ, თანამედროვე რეალობას. ხომ არ შეიძლება გვითხრათ, რა ძირითად მომენტებს შეიცავს იგი და რით არის ნაკარნახევი მისი მიღება?

— როგორც იცით, ეს კანონი ჯერ კიდევ არ გამოსულა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი უფრო მაღალ დონეზე და უფრო სამართლიანად მოაწესრიგებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას დროის მოთხოვნათა შესაბამისად. უფრო მეტიც, მისი პრინციპები უკვე ხორცს ისხამს. ძნის ნათელსაყოფად საკმარისია შევიჩერდეთ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი რელიგიური გაერთიანებების, განსაკუთრებით კი წმიდა ანდრიას რელიგიური კონფესიის — ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მეტად ძნელ საქმედ ითვლებოდა ნებისმიერი რელიგიური გაერთიანების რეგისტრაციაში გატარება, რადგან ორგანოები, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტა ევალებოდათ, ყოველ ასეთ ფაქტს განიხილავენ, როგორც იდეური პოზიციის დათმობას. ამ საბაბით ყოველნაირად ცდილობდნენ რელიგიური საზოგადოების შექმნის ან საეკლესიო შენობის გადაცემის თხოვნაზე უარყოფითი პასუხი გაეცათ ან მთხოვნელზე ადმინისტრაციული ზეგავლენა მოეხდინათ. ზოგჯერ აშკარა შევიწროებასაც კი მიმართავდნენ. ეს მაშინ, როცა მოქმედი კანონმდებლობით ამგვარი მეთოდების გამოყენება ყოვლად დაუშვებელია. ივიწყებდნენ, რომ მორწმუნეთა კანონიერი მოთხოვნის ხელოვნურად შეზღუდვა იწვევდა მათ უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ ექსცესებშიც კი გადადიოდა.

ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ ფართო დემოკრატიზაციისაკენ აღებული კურსი ამიერიდან საბოლოოდ გამორიცხავს სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპის ხელყოფის ამგვარ რეციდივებს.

გარდაქმნის, დემოკრატიზაციის და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის რევოლუციური პროცესი გრძელდება, ამჟამად მთელი დატვირთვით მიმდინარეობს სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური დებულების საფუძველზე ახალი რელიგიური კანონმდებლობის შექმნა, მასში მონაწილეობენ სსრ კავშირის იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭო, სსრ კავშირის პროკურატურა და სხვადასხვა კონფესიების რელიგიური საზოგადოებების წარმომადგენლები, ახალი პროექტის მიხედვითაც ალარ იქნება ე. წ. აკრძალული რელიგიური სექტები, დაშვებული იქნება ბიბლიის შემსწავლელი კურსების შექმნა — ე. წ. საკვირაო სკოლები რელიგიურ საზოგადოებებთან, რელიგიურ ორგანიზაციებს სხვადასხვა საშუალებებით მიეცემათ მეტი შესაძლებლობა თავიანთი საქმიანობის საზოგადოებრიობისათვის გაცნობისა, დაშვებული იქნება ქველმოქმედება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და მთელ მსოფლიოში შვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფისაკენ.

ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

4 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲚᲘᲑᲐᲜᲘ: ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲦᲕᲠᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ. მეოთხე დღეა გრძელდება ცხარე ბრძოლები ლიბანის ორ უდიდეს შიიტურ დაჯგუფებას — „ამალის“ მოძრაობასა და პროირანულ ორგანიზაციას „ხეზბოლაჰს“ შორის, რომლებიც ქვეყნის შიიტურ თემში ლიდერობისათვის იბრძვიან.

შეტაკებანი, რომლებმაც ახალი წლის წინ დასავლეთ ბეირუთის სამხრეთ გარეუბნებში იფეთქეს, სამხრეთ ლიბანშიც გავრცელდა. ბეირუთის რადიოსადგურების ცნობით, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად, რომელთა დროს ორივე მხარე იყენებს რეაქტიულ და ლულიან არტილერიას, ნაღმსატყორცნებსა და ავტომატურ იარაღს, მოკლული და დაჭრილია ათობით ადამიანი. შინაგანი უშიშროების ძალების წარმომადგენლის თქმით, მსხვერპლთა შორის ბევრია ქალი და ბავშვი, თუმცა დაღუპულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია გამფდმებული ბრძოლების გამო. პერიოდულად საარტილერიო ცეცხლს უშენენ საცხოვრებელ უბნებს. მხოლოდ ამ დღეებში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა შეუშალეს ხელი ხანძრის გავრცელებას. შეფასებითი მონაცემებით, ათიათასობით კაცმა, დაბომბვისაგან თავი რომ დაეცვა, სამხრეთი გარეუბნები მიატოვა და დასავლეთ ბეირუთის ქრისტიანებმა, სიტყვისა და საქმის ერთიანობამ ჩვენს რესპუბლიკაში არსებული თითქმის ყველა რელიგიური კონფესიის მიმდევართა აქტიურობა გამოიწვია. სახარებისეული ქრისტიან ბაპტისტთა თემები, განსაკუთრებით აფხაზეთის რესპუბლიკაში ცდილობენ, რომ მათი მოძღვრება ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის, მათ სურთ თანამოქალაქეებს გააცნონ თავიანთი საქმიანობა, რათა მათ არ უყურებდნენ როგორც რაღაც საიდუმლო და ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

დუხაბორები და მალაკანები, რომლებიც განცალკევებულ ად და კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ თითქმის 150 წლის განმავლობაში, ახლა აქტიურად ებმებიან სოფლების სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა. შ.

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, კონკრეტული შედეგებია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და, რაც მთავარია, როგორც ძირითადმა რელიგიურმა ორგანოებმა, ისე სხვადასხვა სექტების მიმდეგთმა მორწმუნეებმა მოიცალეს ნაწყენობის, დევნილის იარლიყი და უკვე თამამად, უშიშრად ამყარებენ კონტაქტს საბჭოთა ხელისუფლებასთან, საბჭოების აღმასკომებთან.

ამავე დროს ქართულ ეკლესიას დაუბრუნდა მეტების, ანჩისხატის, გელათის, მარტვილის უძველესი ტაძრები, ვარძიის, ატენის, სიონის, წილკნის და ჯვარის, აგრეთვე შიომღვიმის და მარტყოფის სამონასტრო ანსამბლები, ამოქმედდა ანანურის, წალენჯიხის, კაცხის, თელეთის, გურჯაანის, ყვარლის, გორის, მესტიის, წყნეთის და სხვა ტაძარ-ეკლესიები. ამჟამად განხილვის პროცესშია ათობით ეკლესიის, სხვა კონფესიათა სამლოცველო სახლების გახსნის საკითხი.

— ეს საკითხი, ალბათ, გარკვეულწილად უკავშირდება რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ზრუნვასაც იმისათვის, რომ სრულად ხორციელდებოდეს სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპები.

— რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ჭეშმარიტად სრული გაგებით ეკიდება ჩვენთან არსებული რელიგიური ორგანიზაციების პრობლემებსა და სურვილებს, ხელს უწყობს რელიგიისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებას, მხარს უჭერს საქართველოს ეკლესიას, რათა მას დაუბრუნდეს სასულიერო მოღვაწეობის ისეთი სახელგანთქმული კერები, როგორიცაა ათონის ივერთა მონასტერი საბერძნეთში და იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

მთავრობამ გაითვალისწინა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი — ქართული ავტოკეფალური ეკლესია რეზიდენციის საგრძნობ სივიწროვეს განიცდიდა, და ამ მიზნით გადასცა შენობა, რომელიც ადრე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს ეჭირა. ახლახან, სასულიერო აკადემიის გახსნის დასტურთან ერთად, საპატრიარქოს მიეღო შესანშნავი შენობა სიონის ტაძრის პირდაპირ, ამავე შენობაში გაიხსნა სასულიერო სემინარიაც.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაფართოვდა ეკლესიის საგამომცემლო საქმიანობა როგორც თემატიკის, ასევე მოცულობის თვალსაზრისით.

ამიტომ ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული დასავლეთის ზოგიერთი რადიოსადგურის მტკიცებანი, თითქოს საქართველოში ნორმალური პირობები არ ჰქონდეთ მორწმუნეებს, თითქოს ქართული ეკლესიაც კი იმდენად დისკრედიტებულია, რომ შესაძლებლობა არა აქვს ღვთისმსახურების, სიმღერა-გალობის მშობლიურ ენაზე ბატარებისა; თითქოს ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ იჩენდეს მისი საჭიროებებისადმი და სხვა.

უდავოა, რომ ჩვენს ქვეყანაში მთელი სისრულით მიმდინარეობს რელიგიის, ეკლესიის, მორწმუნეთა მიმართ დამოკიდებულების ლენინური პრინციპების აღდგენა, რომ დღეს როგორც მორწმუნეების, ასევე ურწმუნოების ფიქრი და მსჯელობა ერთობლივად არის მიმართული მთავარი მიზნისაკენ — რევოლუციური საზოგადოებრივი გარდაქმნების განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში შვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფისაკენ.

● ᲐᲜᲒᲝᲚᲐ

ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. სამშაბათს ოფიციალურად დაიწყო მოქმედება ანგოლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საკონტროლო მისიამ, რომელიც შეიქმნა ანგოლისა და კუბის თხოვნით. ეს განაცხადა საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივნის, წარმომადგენელმა, ამ მისიამ თვალყური უნდა ადევნოს სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში ვითარების მოწესრიგების ფარგლებში ანგოლიდან კუბის ჯარების ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში დახევას, ხოლო შემდგომ ეტაპობრივად და მთლიანად გაყვანას.

კუბის ჯარების გაყვანა უნდა დაიწყოს 1989 წლის 1 აპრილს ნამიბიის დეკოლონიზაციის პროცესის დაწყებასთან ერთად. საკონტროლო მისიის შემადგენლობაში შედის ალჟირის, არგენტინის, ბრაზილიის, კენგოს, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, იორდანიის, ნორვეგიის, ესპანეთისა და იუგოსლავიის 70 სამხედრო მეთვალყურე. მთავარ სამხედრო მეთვალყურედ დანიშნულია ბრაზილიელი ბრიგადის გენერალი პერიკლეს ფერეირა გომ�.

● ᲗᲣᲜᲘᲡᲘ

ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲚ ᲭᲝᲠᲘ

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲘᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲗᲣᲜᲘᲡᲘ. პალესტინის საგანგებო ვაფემ აქ სამშაბათს გაავრცელა განცხადება, რომელიც გაკეთა პალესტინის აჯანყების გაერთიანებულმა ხელმძღვანელობამ. განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მხოლოდ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაა უფლებამოსილი აწარმოოს მოლაპარაკება ზავის შესახებ პალესტინელთა სახელით. დოკუმენტი მოუწოდებს მებრძოლ პალესტინელ მოსახლეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ დაუჯეროს იმ ჭორებს, რომლებსაც ისრაელის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ავრცელებენ ეგრეთწოდებული „ხელშეკრულების“ გამო, რომელიც თითქოსდა დადებულიყოს აჯანყების ხელმძღვანელობასა და ისრაელის ხელმძღვანელობას შორის.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახალხო აჯანყება გაგრძელდება, სანამ ისრაელი არ დაამორჩილებს მშვიდობიანი პრდცესის ფორგიას, რომელიც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ დაიწყო და მიზნად ისახავს ახლო აღმოსავლეთის შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის — პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა ისრაელის ჯარები მთლიანად გაიყვანონ 1967 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან და შექმნან პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იქნება იერუსალიმი.

ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲠᲝᲒᲝᲢᲔᲑᲘ... ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. *რობოტ-მზარეული, რომელიც იკიხრებს ზრუნვას იმისათვის, რომ თვითმფრინავების ეკიპაჟები ფრენის დროს უზრუნველყოფილი იყვნენ ის-ის არის მშობადებული გემრიელი კერძით; მოწყობილობა, რომელიც პილოტებს დაეხმარება ძილბურანის დაძლევაში; რობოტი, რომელსაც შეეძლება მოძებნოს ბზარები თვითმფრინავის კორპუსში, — ეს არის „გონიერი“ მანქანების ზოგიერთი ნაირსახეობა, რომლებსაც შეიმუშავებს „21-ე საუკუნის ტექნოლოგიის კომიტეტი“. კომიტეტი შექმნა იაპონის ჯალის ავიაკომპანიამ.*

ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲔᲥᲕᲘᲡ ᲢᲣᲞᲘᲡᲪᲐᲚᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. ექვსი ბავშვი — 5 ბიჭი და 1 გოგო შეეძინა 25 წლის ნაპოლელ ქალს ქალაქ კუმამოტში. როგორც ქალაქის ჰოსპიტლის ექიმებმა განაცხადეს, გოგონა დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ დაიღუპა. ხუთი ბიჭუნა, რომელთა წონა 512-704 გრამამდეა, სპეციალისტთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა. მშობიარობა თითქმის სამ დღეს გრძელდებოდა. დედის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲨᲘ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲙᲝᲡᲢᲐ ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის ოქტომბერში სრულდება ოსი ხალხის დიდი შვილის, ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის ფუძემდებელის, საზოგადო მოღვაწისა და რევოლუციონერ-დემოკრატის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 130 წლისთავი.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ცხინვალში გაიმართა დამფუძნებელი კრება, რომელიც მიეძღვნა კოსტას საზოგადოების შექმნას. ამ საზოგადოების დებულებები ფართოდ განხილეს საოლქო გაზეთების, ჟურნალების ფურცლებზე, საოლქო რადიომაუწყებლობით.

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ოსი ხალხის კულტურული მიღწევების შენარჩუნებასა და განვითარებას, მისი სულიერი ძალების გაერთიანებას, დიდი ჰუმანისტის მემკვიდრეობის, შობლიური ენის ღრმად შესწავლას, ხალხთა მეგობრობის, განსაკუთრებით ქართველ ხალხთან მეგობრობის განმტკიცებას, რომლის კულტურასა და ისტორიას დიდად აფასებდა და პატივს სცემდა კოსტა — ხალხთა მეგობრობის მგზნებარე მომღერალი და ქომაგი.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ახალი საზოგადოების წესდება. აირჩიეს მისი გამგეობა, რომლის სათავეში თავმჯდომარე გახდა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი ვ. აბაევი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი, მწერალი და მეცნიერი ნ. ჯუსოითი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

ᲒᲖᲐᲓ ᲛᲐᲠᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ

● **ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ** საუკუნის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო გეგმავს საექსპედიციო ეკიპაჟიანი კოსმოსური ხომალდის გაფრენას დედამიწიდან მარსის თანამგზავრ ფობოსზე, ექსპედიციის მოწყობას მარსის ზედაპირზე, მთვარეზე სამეცნიერო სადგურის, აგრეთვე სპეციალური ბაზის შექმნას, რომელიც შეიძლება გამოიყენონ „ტრამპლინად“ მარსზე ადამიანის გასაფრენად. ასეთ პროექტებს შეიცავს სამმართველოს მიერ დამუშავებული XXI საუკუნეში მზის სისტემის ფარგლებში კოსმოსური სივრცის გრძელვადიანი კვლევის ახალი გეგმა.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ამ ნახატზე გრაფიკულად გამოსახულია მომავალი ექსპედიციის დაშვება მარსის თანამგზავრ ფობოსზე.

ᲐᲐ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

ახლებურად წაკითხული ძველი პიესა

ა. აფინოგენოვის „შიში“ მარჯანიშვილელთა სცენაზე

ა ფინოგენოვის „შიში“ დიდი შინაგანი კატაკლიზმების წინ, 1930 წელს დაიწერა და იმთავითვე მიიპყრო საბჭოთა თეატრების ყურადღება. 1932 წელს კ. მარჯანიშვილმა და ს. ჭელიძემ მისი დადგმა განახორციელეს მეორე სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ეს იყო წლები, როცა დიდი ქართველი რეჟისორი დაჟინებით ეძებდა თანამედროვეობის ამსახველ დრამატულ ნაწარმოებებს როგორც ქართულ მწერლობაში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამ ძიებაში მას მომბრეებიც აყავდა და მონინააღმდეგეებიც. 1933 წელს თავის მეგობრებს და თანამოაზრეებს მან მიმართა წერილით, რომელიც მის ერთგულ ანდერძს წარმოადგენს. იგი წერდა, რომ მისთვის მოხუცებულობის ჯამს, მიუღებელია ყოველგვარი შემოქმედებითი კომპრომისი. „მე მალე მოვკვდები და მსურს, რომ ჩემი კრედო გასაგები იყოს ყველა ჩემს მიერ აღზრდილი მსახიობისათვის“. ამას ამბობდა, რადგან ნახევარდილეტანტური დიდი ხელოვანისათვის მიუღებელი რჩებოდა, იგი კირშონის „პურს“, აფინოგენოვის „შიშს“, პოგოდინის „პოემა ნაჯახის შესახებ“, ყოველგვარ „ვერსალის წრეებზე“ მაღლა აყენებდა. მისმა დადგმამ, რომელშიც თეატრის ისეთი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, როგორნიც იყვნენ ვ. ანჯაფარიძე, შ. ღამბაშიძე, თ. ყავკასელი, პ. კობახიძე, ა. ყორყოლიანი, ვ. გოძიაშვილი, გ. შავგულიძე და სხვანი, მაყურებელთა დაინტერესება გამოიწვია. ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის შემდეგ კი, იგივე თეატრი დაუბრუნდა „შიშს“, სრულიად სხვა დროს, სხვა პირობებში და სხვა დამდგმელისა და შემსრულებელთა მონაწილეობით.

ამა თუ იმ ნაწარმოებში, კლასიკაც რომ არ დავარქვათ, ყოველი რეჟისორი, თეატრის კოლეგია ლაპარაკი, დროის გმირი ხდება, იგი მწყემსად ნამყოფ ასპირანტ კიმბაევთან ერთად სულ უფრო და უფრო იპყრობს პოზიციებს, გამარჯვებულ ული წარმოგვიდგება. შიშმა პირველ რიგში ბოროდინის სიძე პროფესორი ბობროვი იგდო ხელთ შემდეგ კი ტოტალურად ყველა, თვით ბოროდინიც კი... შიშმა ნაწილ-ნაწილ დაღრღნა ადამიანები, გათიშა, თითქმის ღაბორატორიულ კურდღლებად აქცია და აპოთეოზს მიაღწია ფინალში.

მ. კუჭუხიძე როგორც რეჟისორი გაურბის ეფექტურ, თვალშისაცემ სცენებს. პიესის გმირების ურთიერთობა ავლენს ორ ბანაკს შორის ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობას, კონფლიქტი მათ შორის სულ უფრო მწვავე, უკომპრომისო, ყოველის მომცველი ხდება, სპექტაკლის უმაღლესი წერტილია პროფესორ ბოროდინის მოხსენება — მონოლოგი... შემდეგ, თუმცა რეჟისორი (განმეორებითაც) გვიჩვენებს დაპატიმრებულთა დაკითხვაზე ნამებას, რომელიც მათ რენეგატებად, ლაჩრებად აქცევს. ბოლო სცენებში ახალი ინფორმაცია, ახალი ემოცია აღარ იბადება, ეფიქრობ, ეს ბოლო სცენები ზედმეტი ხდება, რიტმულად ადუნებს სპექტაკლის ფინალს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ სპექტაკლში მხატვარმაც (გოგი ალექსი-მესხიშვილი, შ. გლურჯიძე), კოსტიუმების მხატვარმაც (ნ. ჩიტაიშვილი) და კომპოზიტორმაც (გ. გაჩეჩილაძე), დამდგმელთან ერთად შექმნეს წარმოდგენის მართალი, ემოციურად ელერადი სახე. მთავარი კი ამ საინტერესო დადგმაში მსახიობთა ნამუშევარია. აქ თეატრმა კვლავ გვიჩვენა ამ დასის ტრადიციული სიძლიერე — მსახიობის ხელოვნება. ამ მხრივ ო. მელვინეთუხუცესია გამოსაყოფი და არა მისი აღიარებული ნიჭის, პოპულარობის გამო. აქ ტაშში შეიძლება ზომიერებამ უღალატოს, მთლიანობაში მის მიერ შექმნილი მაკაროვას სახე არასოდეს დაგვავიწყდება. მშვენიერია „გამარჯვებული“ მაკაროვა ფინალში, როცა სოციალური წარმოშობის გზით ყველა წოდება და თანამდებობა მოიპოვა. გარეგნულად იგი დადინჯებულია, „შელამაზებული“, თუმცა მისი არსი არ შეცვლილა და იგი მაინც იმ გამარჯვებული უხეშობისა და უვიცობის, თვითდაჯერებისა და თვითმაყოფილების სიმბოლოდ რჩება, რომელმაც ამდენი ზიანი მიაყენა ჩვენს საზოგადოებას. მაკაროვას ფორვატერში უდგას დ. დვალიშვილის კიმბაევი — ყოფილი მწყემსი, რომელსაც ერთ ღამეში სურს ნაიკითხოს ყველა წიგნი და „დაეუფლოს“ მეცნიერებას. ეს მსახიობი, ისევე როგორც გ. გაბუნია, თითქმის გროტესკულია.

საშინელება ისაა, რომ ასეთი ადამიანების ხელში ვარდება ჭეშმარიტ საბჭოთა მეცნიერთა ბედი, ისინი იბრძვიან პირველ რიგებში და თავიდან იცილებენ ყველას, ვინც გზაზე გადაუდგება. სიხარბე, უზომო აგრესიულობა, ეგოისტური სწრაფვა მეცნიერების სიმაღლეების ცოდნის გარეშე დაპყრობისადმი, ყველაფერი ეს ცოცხალ, სისხლსავსე ტიპად აქცევს კიმბაევის სახეს, გვიჩვენებს როგორ მარჯვედ იყენებდნენ მისი და მაკაროვას მსგავსი ადამიანები შიშს, რომელიც მათი კეთილდღეობის ბერკეტად იყო ქცეული. მათთან შედარებით, „თავისი დროის“ შვილები შიშის გამო ინიღბებიან — პროფესორი ბობროვი (ჯ. მონიავა), ზაბაროვი (გ. სიხარულიძე), ცეხოვოი (გ. ჩუგუაშვილი), ნევსკი (ვ. კვიტაიშვილი), ვარგასოვი (გ. ხურცილავა), ჭეშმარიტი რენეგატები ხდებიან, ცდილობენ ალღი აუღონ დროის ვითარებას, დათმონ ყველაფერი, ოღონდ გადაურჩნენ ცხოვრების ნისქვილის ბრუნვას, ამოტივტივდნენ ზედაპირზე, ეს „ბდუმარეთა ის უმრავლესობაა“, რომელთა მეოხებითაც მოხდა ჩვენს ისტორიაში უამრავი დანაშაული.

ნ. ჩიქვანიძის ვალენტინა ხელოვანია, სკულპტორი, რომელსაც გზა აქვს აბნეული, ვერა პოულობს ადგილს ცხოვრებაში. მსახიობი ხაზს უსვამს ამ სუსტ, უნებისყოფო არსების უმწეობას, გამოუსადეგრობას. ამ ქალს არც სიყვარული, არც სიძულვილი, არც რეფლექსია აწუხებს, სულიერად დაცარიელებულია და ბოლოს კრახამდე მიდის.

ძველ დადგმებში დამსახურებული ბოლშევიკი კლავდია სპასოვა ერთგვარ პოზიტიურ საწყისს ნარმოადგენდა, ახალ დადგმაში (თ. სხირტლაძე) იგი ისევიე ჩლუნგი და ბეცია ცხოვრებაში, როგორც სხვანი, ლოზუნგებით ცხოვრობს და ლოთობაში ეძიებს სულიერი სიცარიელისაგან შველას... პატარა ავტომატია ე. მეავანაძის ნატაშა, რობოტი, რომელიც ნარმოიშვა შიშისა და მყვირალა ლოზუნგების სამყაროში, იგი იმ დროის პროდუქტია, როცა ადამიანის სიცოცხლე, მისი ღირსება არაფრად ღირდა. ე. მეავანაძის ნატაშას არა აქვს ბავშვობა და იგი ბებერი ბავშვის შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთი კი უნდა აღინიშნოს — მსახიობი ერთგვარად სწორხაზოვანია, აკლია ფსიქოლოგიური ნიუანსები, გარდამავალი ემოციური ფერები, ამიტომ მოკლებულია სილრმეს, ერთფეროვანია. აღვნიშნავთ რა მთლიანად სპექტაკლის ანსამბლურობას, გვსურს გამოვყოთ ქ. კიკნაძის ამალია, რომელიც თაგვივით შემოიპარება ბოროდინის სახლში და თაგვივით შიშსავსე ცხოვრობს. ქ. კიკნაძის ამალია ბიოლოგიური შიშის განსახიერებაა, შიში მასში უკიდურესობამდეა მისული, არისტოკრატულ ოჯახში გაზრდილი ოდესღაც მშვენიერი ქალი ძონძებში გახვეული, მას თითქოს ხმაც კი არა ყოფნის გ. გაბუნიას რიხიანი მაკაროვას გვერდით, იგი თითქოს წარსულის აჩრდილია, შიშის მსხვერპლი.

პიესაში ხშირადაა გამოყენებული რემარკა—„ეშინია“, დიახ, შიში, გრანდიოზული შიში იბადება დაკითხვებისა და წამების სცენებში, როცა ადამიანები ყველაფერს ჩაიდენენ, ამ გზით მზად არიან თავი გადაირჩინონ. თუ დასაწყისში ირონიით, სკეპტიციზმის ნიღბით ფარავდა შიშს ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი გერმან კასტალსკი (მ. გორგილაძე), დაკითხვისა და წამების სცენებში ისიც იმეტებს თავის მსახვლებებს, შიში შობს იმ განუკითხავ გამცემლობას, რომელიც ყველას კაენის ნიშანს სდებს..

თავის მოხსენება — მონოლოგში (სპექტაკლში მისი ბოლო მონოლოგი შეცვლილია) ბოროდინი შიშში ხედავს სტიმულს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა სოციალურ მოქმედებას, იგი ამბობს — „ჩვენ ვცხოვრობთ დიდი შიშიანობის დროში...“ ბოროდინის ეს მონოლოგი მთელი სპექტაკლის გასაღებია, რომელიც ქადაგებს პიროვნების, ადამიანის თავისუფლებას, ურომლისოდაც არ შეიძლება იარსებოს ჰუმანურმა საზოგადოებამ და ამაშია ამ ნარმოდგენის მნიშვნელობა, თანადროულობა და ღირებულება, მასში აყალერებულია აზრი, რომელსაც შესნევს ძალა შეაგნებინოს, ახლებურადაც ადამქმედოს თანამედროვე მაყურებლის სული და გული.

ნადია შალუტაშვილი.

საახალწლო ნაძვიხეზე თბილისის სპორტის სახახლეში. ფელიქს ჯრიმსკის („კომუნისტი“) ფოტო.

გაზეთის პირველი ნომერი

8 იანვარს გამოვიდა „უჩიტელსკაია გაზეტას“ პირველი ნომერი, რომელიც ახალი წლიდან გარდაიქმნა სკკ ცენტრალური კომიტეტის გაზეთად. იწყება პრინციპულად ახალი ეტაპი საბჭოთა მასწავლებლობის გაზეთის ცხოვრებაში. დღეს, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში ბიმდინარე ძირეული ცვლილებების პირობებში, გაჩნდა იმის დიდი აუცილებლობა, რომ გაძლიერდეს მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. სკოლის, უწყვეტი განათლების პრობლემები, ახალგაზრდობის აღზრდა არ უნდა იყოს ვიწროუწყვეტრიული. ეს საერთო-სახალხო, საერთო-პარტიული საზრუნაია.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პრობლემებთან ერთად „უჩიტელსკაია გაზეტა“ უფრო ფართოდ წარმოადგენს საშუალო პროფესიული განათლების საკითხებს. გაზეთი კვლავაც გაუწევს პროპაგანდას თანამშრომლობის პედაგოგიკას, მონაწილეობას მიიღებს მასწავლებელთა შემოქმედებითი კავშირის შექმნასა და მუშაობაში, დაიცავს ნოვატორ პედაგოგებს, იბრძოლებს მასწავლებელთა გარეშოს სოციალურ პრობლემათა წარმატებული გადაჭრისათვის.

გაზეთის პირველი ნომერი ეხსნება რედაქციის მიმართვით მკითხველებისადმი, რომელშიც, კეთილად, ნათქვამია: „წინასწარ გაბრდებით, გაზეთი საშველს არ მისცემს არავის, ვინც ზურგი აქცია სკოლას, დაივიწყა თავისი პირველი და მთავარი ცხოვრების უნივერსიტეტები“. სხვა მასალებს შორის დაბეჭდილია ცნობილი ნოვატორი პედაგოგის შ. ა. ამონაშვილის გამოსვლა, პარტიული მუშაკების, მასწავლებლების, სტუდენტების აზრი ახლახან დამთავრებული სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობის შესახებ, სხვა მასალები. (საკდესი).

საქველმოქმედო კონცერტი

ტყიბული. საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნა თავისი დაბადება სოფელ მუხურის კულტურის სახლმა. ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაირიცხა მომმე სომხეთის დახმარების ფონდში.

ორიგინალურ შენობას, რომელიც შეერწყა ზემო იმერეთის თვალწარმტაც ლანდშაფტს, აქვს ორსა და გალიანი საკატო დარბაზი, ოთახები სხვადასხვა წრეებისა და ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფების მუშაობისათვის.

ყინვა, ნამქერი გზებზე

3 იანვარს ადგილობრივი დროით 15 საათის და 30 წუთის თვის ამერიკაკავკასიის რკინიგზის სამტრედია-ზუგდიდ-ფოთ-ბორჯომ-ბაკურიანის უბანზე დაბრუნებულ გაირინდა 21 სამგზავრო მატარებელი, უამრავი-სატვირთო შემადგენლობა. მიზეზია ელექტროენერგიის უქონლობა ავტომატიკის მუშაობისა და სადისპეტჩერო კავშირის გაწყვეტა. ყოველივე ამაში ბრალი მიუძღვის ძლიერ თოვას, ყინვას, ლიპყინულს, რომლებმაც მწყობრიდან გამოიყვანეს, საერთო ანგარიშით, დაახლოებით 50 კილომეტრი სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები.

— უსიამოვნო ამბები ხაშურზესტაფონის უბანზე დაიწყო უკვე პირველ იანვარს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის უფროსის მოადგილემ ოლეგ ბიჭიაშვილმა. — ლიანდაგზე თოვლის სიმაღლემ რამდენიმე საათში თითქმის ორ მეტრს მიაღწია. თოვლის სიმძიმემ გაწყვიტა ელექტროგადამცემი ხაზი. რკინიგზის მუშაკებმა ყველაფერი ილონეს შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. რამდენიმე საათის შემდეგ ამუშავდა საკონტაქტო ქსელი, მაგრამ ცოტა ხნით. ამუშავეს თბომავლები. მაგრამ ჯერჯერობით მეტ წილ მატარებლებს უგვიანდებათ დანიშნულების ადგილზე მისვლა.

— როდის ამუშავდება საიმედოდ ელექტროქსელი, კავშირგაბმულობის ხაზები და ავტომატიკა?

— სამწუხაროდ, სტიქია საშუალებას არ გვაძლევს ყველგან დავიწყოთ აქტიური სამუშაოები. საავარიო ბრიგადები ძლივლივობით მიდიან ადგილამდე, მაგრამ ალდგენილი ხაზი ვერ უძლებს თოვლის სიმძიმეს და ხან ერთ, ხან მეორე უბანზე წყდება, — ამბობს „საქმთავარენერგოს“ მთავარი დისპეტჩერი ენვერ ჩიჩუა, — კრიზისულ უბნებზე გაიგზავნა ყველა საავარიო ბრიგადა, მობილიზებულია ადგილობრივი მოსახლეობა. დიდ დახმარებას გვიწევენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ენერგომომარაგება უმოკლეს ვადებში მოგვარდეს.

• • •

უხვი თოვის გამო რესპუბლიკის ტრასებზე შეზღუდულია ავტოტრანსპორტის მოძრაობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს დ. წოწკოლაურს ვთხოვეთ უფრო დაწვრილებით გაეშუქებინა ეს ამბავი.

— პატივცემულო დავით, კონკრეტულად რომელ უბნებზეა შეწყვეტილი მოძრაობა?

— ახლა გადაკეტილია მხოლოდ ოკოთისა და როკის უღელტეხილები. ხაშურ-ბორჯომ-ბაკურიანის ბრიგადები ძლივლივობით მიდიან ადგილამდე, მაგრამ ალდგენილი ხაზი ვერ უძლებს თოვლის სიმძიმეს და ხან ერთ, ხან მეორე უბანზე წყდება, — ამბობს „საქმთავარენერგოს“ მთავარი დისპეტჩერი ენვერ ჩიჩუა, — კრიზისულ უბნებზე გაიგზავნა ყველა საავარიო ბრიგადა, მობილიზებულია ადგილობრივი მოსახლეობა. დიდ დახმარებას გვიწევენ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა ენერგომომარაგება უმოკლეს ვადებში მოგვარდეს.

• • •

ასეთია ტრანსპორტის ... ბ. ... ელი მდგომარეობა. შემდგომ მდგომარეობა, ბუნებრივია, დამ... კიდებულია მეტეოროლოგიებზე.

— ზომ არ ყოფილა ავარიული სტიქიის გამო?

— ოჰ, არც ერთი. ჩვენ დ... ყოვნებლივ გადავაჯაჭვეთ ჩვ... ძალები, რათა უზრუნველყო... მოძრაობისა და თოვლსაწმენ... სამუშაოების უსაფრთხოება მ... ისტიალების ყველა ოთხ მონ... კვეთზე. ასე რომ, უსიამოვნო ... ბები თავიდან ავიცილეთ. მაგ... მინდა თხოვნით მივმართო მძ... ლებს: **სიტუაციის ნორმალიზ... ამდე, გთხოვთ, თუ ძალიან საჭ... რო არ იქნება, თავი შეიკავ... მგზავრობისაგან, ხოლო საჭირ... ების შემთხვევაში ისარგებლ... ჯავშნებით.**

— როგორ მიმდინარეობს თ... ვლით დაფარული გზების გაწ... ნდა?

— ძალზე აქტიურად, მობ... ზებელი არიან ადამიანები ... ქნიკა. შესაძლოა (თუ ხელ... შეგვიშლის სტიქია), შეძ... აღდგეს ყველგან ერთ დღეში. ... ას მაშინვე ვაცნობებთ მოსახ... ობას.

— მაგრამ როგორი იქნება ... ინვა?

— როგორც საქართველოს ... რომეტცენტრის მთავარმა ინჟინ... მა ჯემალ დოლიძემ გვაცნობა, თ... ვა საქართველოში ყინვის დამ... ვამდე გაგრძელდება.

(საკინფორმ...)

„კომუნისტის“ კორესპონდენტები ადგილებიდან გვაცნობებენ

ლიხს იქით დიდთოვლობაა

ორჯონიკიძე. პირველ და ორ იანვარს გადაუღებლად თოვდა, თოვლის თეთრ საბურველში გაახვია ორჯონიკიძის რაიონის სოფლები და ცენტრი. თოვლის სიმაღლემ 1,5 მეტრს, ხოლო რიკოთისა და წიფის უღელტეხილებზე 2 მეტრს გადააჭარბა. შეწყდა საავტომობილო და სარკინიგზო მოძრაობა. სოფელ მოლითისა და კაცხში დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, მოლითან და გმირვიდა მწყობრიდან ელექტრო და სატელეფონო ხაზები. ავარია გაიცადა მოლითისა და წიფის ელექტროქვესადგურებმა.

სასწრაფოდ შეიქმნა სტიქიასთან მებრძოლი რაიონული შტაბი პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივნის მ. მაღრაძის ხელმძღვანელობით. რაიონის საწარმო-დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების უმრავლესობა მობილიზებულია სტიქიის შედეგების საილაჯიანებლად.

3 იანვარსა გაიხსნა მთელი 42 საათით ჩაკეტილ გზაზე საავტომობილო მიმოსვლა.

კვლავ ბარაქიანად თოვს. სტიქიასთან ბრძოლა გრძელდება.

ზესტაფონი. დიდი თოვლია, თოვლის საფარმა ბევრგან 1,5 მეტრს გადააჭარბა. მან დაანგრია ელექტროგადამცემი ხაზები: 15 სოფელში ელექტროენერგია გამორთო; ჩაკეტილია საავტომობილო გზები; შეწყდა სარკინიგზო მიმოსვლა; მწყობრიდან გამოვიდა ქალაქის პურის საცხობი და წყალსადენი; თოვლმა დაანგრია ზედა საქარის კოლმეურნეობის ფერმის შენობა და ბოსლევის კოლმეურნეობის საღორე; სოფელ ძირულაში დაინგრა ჭვის სახერხი-საამქრო, სოფლებში სვირში, როდინოულსა და წეკაში დაინგრა ინდივიდუალური სახლები. რაიონული შტაბის სასწრაფო ღონისძიებებით აღდგენილია ელექტროგადამცემი და სატელეფონო ხაზები, პურის საცხობი, წყალსადენი; მობილიზებულია მუშახელი რკინიგზის ლიანდაგის ისრების გასაწმენდად. რკინიგზის სადგურ ზესტაფონში ჩარჩენილი 7 სამგზავრო მატარებლის მგზავრები უზრუნველყვეს კვების პროდუქტებით.

რაიონში აღდგენილია ნორმალური ვითარება, თუმც თოვა არ წყდება.

ენერი შარიძაძე.

• • •

ჩოხატაური. რამდენიმე დღეა გადაუღებლად თოვს და ქარბუქია ჩოხატაურის რაიონში. რაიონის ცენტრში თოვლის საფარმა მეტრს, ხოლო მაღალმთიან სოფლებში — ნაბეღლავში, სურებში, ჩხაკოურაში და სხვაგან 2 მეტრსაც გადააჭარბა.

დიდთოვლობასთან დაკავშირებით პარტიის რაიონულ კომიტეტში შეიქმნა ოპერატიული შტაბი, რომელსაც რაიკომის პირველი მდივანი გ. მახარაძე ხელმძღვანელობს. რაიონის ყველა საზაზგადოებრივ მეურნეობაში შექმნილია სტიქიასთან მებრძოლ ბრიგადები, მობილიზებულია ტ... ქნიკა, რეგულარულად იწმინდ... გზები, რაიონის ყველა სოფელ... არის კავშირი. მაღალმთიან სო... ლებში იგზავნება სურსათი, პ... ველი მოთხოვნილებანი. საქმეზე

ამას წინათ სოფელ ბეღლეკ... ში, ცენტრალურ გზაზე ჩამონ... ლილმა დიდმა ზვავმა შეაფერ... მაღალმთიან სოფლებთან კავშ... მაგრამ ოპერატიულად უშვებ... საქმეს, ტექნიკის გამოყენებ... სწრაფად გაიწმინდა გზები, ალ... გა კავშირი.

ქარბუქი არ ჩამდგარა, მაშინ... ოპერატიულ ჯგუფებს ზვავსაშ... ადგილებიდან გაჰყავთ მოსახლ... ბა.

ბეგლარ ჩხაი...

დარჩა სამი ტურნირი

„მსოფლიო თასის“ გათამაშებამ, რომელიც შარშან დაიწყო, დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამ თვალსაზრისით იგი მხოლოდ მსოფლიო პირველობის მატჩს თუ ჩამოუვარდება. 25 უძლიერესი დიდოსტატის ამ ექვსეტაპიანმა შეჯიბრებამ თავისი გრძელი გზის ნახევარი გაიარა — დღეისათვის ნათამაშევია 3 ტურნირი ექვსიდან. მომდევნო, მეოთხე ასპარეზობა აპრილში ბარსელონაში გაიმართება.

როგორია მონაწილეთა მდგომარეობა დღეისათვის?

60,5 ქულით წინ არის ლვოველი დიდოსტატი ალექსანდრე ბელიავსკი. მან დღემდე გათამაშებულ სამივე ტურნირში მიიღო მონაწილეობა, რაც დებულების თანახმად, იმას ნიშნავს, რომ წლეულს მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში თამაშს უფიქრობ რჩება. რა თქმა უნდა, ბელიავსკის ახლანდელი მაღალი შედეგი იმის გარანტიას იძლევა, რომ მისი სახელოო მონაცემებიც კარგი იქნება, მაგრამ ვფიქრობთ, არ შეცდებით, თუ ბელიავსკის მაინც დრონგი ლიდერს ეუწოდებთ, რადგან მას მალე, თუ სხვები ვერა, გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი მაინც ჩამოიტოვებენ. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ მათ მხოლოდ ორ ტურნირში ითამაშეს.

56,5 ქულით ბელიავსკის კვლადაკვალ მისდევს მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი. მან „მსოფლიო თასზე“ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია — პირველი პრიზი მოიპოვა როგორც ბელფორში, ისე რეიკიავიკში. საერთოდ, მთელი 1988 წლის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონი საუკეთესო შედეგებს აღწევდა. კასპაროვს ანალი სტიმულიც მიეცა. საქმე ისაა, რომ მისი რეიტინგი ანა 2760 გახლავთ. ჭადრაკის ისტორიაში უმაღლესი რეიტინგი — 2780 რობერტ ფიშერს ეკუთვნის, რომელიც, 1972 წლის სექტემბრიდან აღარ თამაშობს. ასე რომ, კასპაროვს ახლა რეალური საშუალება ეძლევა ჯერ დაეწიოს ფიშერს, ხოლო შემდეგ გააუმჯობესოს კიდეც მისი შედეგი. რაც შეეხება „მსოფლიო თასს“, აქ, რა თქმა უნდა, კასპაროვი პირველი ჯილდოს მოპოვების ერთერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლება.

„მსოფლიო თასის“ მონაწილეთა ცხრილში მესამე ადგილზეა კარპოვი (54,5 ქულა), მაგრამ კასპაროვისა არ იყოს, მანაც მხოლოდ ორ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. შარშან მსოფლიოს ექსჩემპიონი ყველა ტურნირში აღმავლობით თამაშობდა. მან გაიმარჯვა „მსოფლიო თასის“ პირველ შეჯიბრებაზე ბრიუსელში (კასპაროვი არ თამაშობდა), მეორე იყო ბელფორში კასპაროვის შემდეგ, მაგრამ დაამარცხა იგი პირად შეხვედრაში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მომავალ სამ ტურნირში, რა თქმა უნდა, კასპაროვისა და კარპოვის დასწრებული თუ დაუსწრებელი მეტოქეობა გაგრძელდება. საინტერესოა, რომ ამ დარჩენილი ასპარეზობებიდან კასპაროვსა და კარპოვს მხოლოდ ერთხელ მოუხდებთ ერთად თამაში — მეექვსე, უკანასკნელ ტურნირში, რომელიც აგვისტოში შელეფტეოში (შვეიცარია) უნდა გაიმართოს.

ამჟამად მეოთხე ადგილზეა ინგლისელი ჯონათან სპილმენი (51,5 ქულა სამი ტურნირის შემდეგ). რა თქმა უნდა, ინგლისელის ასეთი წარმატება შემთხვევითი არ არის, იგი ხომ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტია და დანარჩენ პრეტენდენტთაგან პირველმა მოიპოვა ნახევარფინალში თამაშის უფლება. სპილმენი ლიდერთა სამეულს მუქარას ვერ უქმნის, მაგრამ კარგი შესაძლებლობა აქვს მოხვდეს პირველ ექვსეულში. იგივე შეიძლება ითქვას მეხუთე ადგილზე მყოფ შვედ ულფ ანდერსონზე (50 ქულა სამი ტურნირის შემდეგ), რომელიც საერთოდ იშვიათად აგებს. ამჟამად მეექვსეა ანდრია სოკოლოვი. (48 ქულა სამი ტურნირის შემდეგ). მეშვიდე ადგილზე გასულ ჯონ ნანს 45 ქულა აქვს, მაგრამ მან მხოლოდ ორ ტურნირში ითამაშა. დაახლოებით იგივე ითქმის მომდევნო სამ ადგილზე მყოფთა: იან ელვესტზე (44,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), მიხეილ ტალსა (41,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ) და იუგოსლავიელ ლიუბომირ ლიუბოევიჩზე (38,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ). ტალმა ისე ცუდად ითამაშა ბრიუსელში, რომ მისი მდგომარეობა უიმედოდ ჩანდა, მაგრამ რეიკიავიკში ბრწყინვალე გამოსვლით ნაწილობრივ გამოასწორა საქმე. 11. ჰოლანდიელი იან ტიმანი (36,5 ქულა სამი ტურნირის შემდეგ), 12. ბორის სპასკი (საფრანგეთი, 32 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 13. უნგრელი ლაიოშ პორტიში (30,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 14.. უნგრელი დიულა საქსი (30 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 15. უნგრელი ზოლტან რიბლი (29,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 16. ისლანდიელი იოჰან ჰიარტარსონი (29 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 17. არტურ იუსუპოვი (29 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 18. იუგოსლაველი პრედრაგ ნიკოლიჩი (27,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 19. ვალერი სალოვი (25 ქულა ერთი ტურნირის შემდეგ), 20. კუბელი ხესუს ნოგაირასი (23,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 21. რობერტ ჰიუბნერი (გფრ, 21 ქულა ერთი ტურნირის შემდეგ), 22. ინგლისელი ნაიჯელ შორტი (18 ქულა ერთი ტურნირის შემდეგ), 23. ვიქტორ კორჩნოი (შვეიცარია, 14,5 ქულა ორი ტურნირის შემდეგ), 24. ამერიკელი იასერ სეირავანი (13 ქულა ერთი ტურნირის შემდეგ) და 25. რაფაელ ვაჰანიანი — 0 ქულა (იგი ერთ ტურნირში ჩაება, მაგრამ თავიდანვე იძულებული გახდა. შეჯიბრება მიეტოვებინა ძმის გარდაცვალების გამო).

ახლა „მსოფლიოს თასი“... „ისვენებს“. ეს პაუზა 1 აპრილამდე გაგრძელდება. მაშ ასე, რჩება 3 ტურნირი: 1-17 აპრილს ბარსელონაში, 1-17 ივნისს როტერდამში, 10 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე — შელეფტეოში (შვეიცარია).

გივი გამრეკელი.

... ბაზა

ბუშინ თბილისში, დღიმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა სპორტული ჟურნალისტების შეხვედრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებთან, ეს შეხვედრა მიეძღვნა ახალი საფეხბურთო სეზონისათვის მზადების საკითხებს.

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა, მისმა კოლეგებმა ისაუბრეს კოლექტივის გეგმებზე, შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებზე, ამ პერიოდისათვის გაწეულ მოსამზადებელ მუშაობაზე, პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებს. გამოვიდა, რომ თბილისის „დინამო“ მიეკუთვნა დამოუკიდებელი სა... ურნეულოანგარიშიანი საფეხბურთ... კლუბის სტატუსი.

ამ შეხვედრის ფართო ანგარიშს „კომუნისტის“ უახლოეს ნ... მერში შემოგთავაზებთ.

მოკლედ

ჭადრაკი. იტალიის ქალაქ რეჯო-ემილიაში გრძელდება ტრადიციული საახალწლო საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას დამაჯერებლად ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი მიხეილ გურევიჩი — 5 ქულა. მას ქულანახევრით ჩამორჩებიან ულფ ანდერსონი (შვედეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) და ტურნირის მეორე საბჭოთა მონაწილე იან ელვესტი. ვასილ ივანჩუკს და ვიშვანატა ანანდს (ინდოეთი) 3-3 ქულა აქვთ. მათ მიჰყვებიან: ბრანკო დამიანოვიჩი (იუგოსლავია), ზოლტან რიბლი და დიულა საქსი (ორივე — უნგრეთი) — 2,5-2,5, ივან სოკოლოვი (იუგოსლავია) — 1.

ჩოგბურთი. საბჭოთა სპორტსმენებმა — მოსკოველმა ანდრეა ოლხოვსკიმ, კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა და უფელმა ანდრია ჩერკასოვმა წარმატებით აიღეს სტარტი ახალი წლის პირველ ტურნირში — საამბრეთ ავსტრალიის შტატის ღია ჩემპიონატში. ოლხოვსკიმ დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ლიბორ ნემეჩეკი (1:6, 6:3, 6:2); ჩერკასოვმა — დასავლეთგერმანელი ალექსანდრე მროზნი (6:3, 7:6). პირველ ტურში ვოლკოვის მეტოქე იყო მისივე თანაგუნდელი, უძლიერესი საბჭოთა ჩოგბურთელი, მოსკოველი ანდრია ჩესნოკოვი, რომელსაც ამ ტურნირის ფავორიტად ასახელებდნენ. მოულოდნელად გაიმარჯვა ვოლკოვმა — 6:3, 6:1.

ახლა ავსტრალიის სხვა შტატებშიც მიმდინარეობს ღია ტურნირები, შემდეგ გაიმართ... ავსტრალიის ღია ჩემპიონატი „დიდი შლემის“ პირველი ... რეობა.

ფრისტაილი. ბაკურიანში ... მთავრდა საბჭოთა კავშირის ... სის გათამაშების მეორე ეტ... ფრისტაილში. ფიგურულ სრ... ში ქალთა შეჯიბრება ... მოსკოველმა ელენა ბატალ... ვაჟთა შორის კი საუკეთესო ... ჩუსოვოელი ალექსანდრე ... როვი. აკრობატულ ხტომებ... ყველას აჯობეს სტავროპოლ... ლებმა — ელენა მანაენკომ ... იური საშენკომ.

გასწორება

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წ... 3 იანვრის ნომერში გამოქვეყ... ბული წერილის — „მომავლის ... წინდარი“ (მე-3 გვ.) ერთ-ე... ავტორია ნინო ჭაიანურაძე, ... ი. ჯორდანიას სახელობის ... ნის რეპროდუქციის სამეცნ... კვლევითი ინსტიტუტის რეპ... უქცი